საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

№ 230 40 სამშაბათი, 14 მაისი 1918 წ. № 230

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ბათომის სამშვიდობო მოლაპარაკება ოფიციალურად ჯერ არ დაწყებულა. ამ დღეებში ბათომში ავსტრო-უნგრეთისა და ბულგარეთის დელეგატებს მოელიან. ამიერ-კავკასიის მთავრობის განკარგულებით რუსეთის სესხისა და ყოველგვარი სარგებლიანი ქაღალდის განაღდება ამიერ-კავკასიის ბანკებში დროებით შეჩერებულია. რუმინიამ განაახლა მშვიდობიანი დამოკიდებულება მებრძოლ სახელმწიფოებთან და ნეიტრალიტეტი გამოაცხადა.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 10 მან., 20×2 ღირს 15 მან., 3 ხაზის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (კ. თავართქილაძისეული „ნადეჟდა") ბარათის ქუჩა, სახლი № 14 და ღირება ორი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакмэ", поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 40 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 50 კაპ.

ტელეფონი 12—29

გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს:

ერთის თვით 8 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 40 კ., რკ. გზის სადგურებზე 50 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.

დამწუხრებული მეუღლე ლისა, შვილები თევდორე, სონა, ფუცუ; რძალი სარა; სიძეები ივანე მახარაძე და ბიქტორ კაკაბაძე, შვილიშვილები კარლო, ზურაბ და გიორგი მახარაძენი აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ ქალ. ლანჩხუთში ხანმოკლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას

ზურაბ მახარბელის ძის

ღლონტის.

დაკრძალვა მოხდება დღეს, სამშაბათს, 14 მაისს, ლანჩხუთის წმ. გიორგის ეკლესიაში დილის 10 საათზე. 1166

გიორგი ნიკოლოზის ძის ყაზბეგის ოჯახობა უგულითადესს მადლობას უძღვნის ყველა იმ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომელთაც პატივი სცეს განსვენებულის

ელისაბედ ალექსანდრეს ასულის ყაზბეგის

ხსოვნას. 1164

დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 19—00.

დღეს, 14 მაისს და ხვალ 15 გაიმართება

დ ი დ ი წარმოდგენა

სახელად „ათას ერთი ღამე". მრავალი სასაცილო და სამხიარულო სანახაობა. კონკურენცია კლოუნებისა, კონკურენცია ჯამბაზებისა, კონკურენცია კუპლეტისტებისა და სხვათა. ცხენების დივერტისმენტი. დასაწყისი $8^1/_2$ საათზე.

ანონსი: მზადდება დიდი დღესასწაული არტისტებისა. 484

სტუდენტი გიორგი ლაზრიშვილი სწავლობდა ქ. კიევში ტეხნიკურ სასწავლებელში, ბინად ცხოვრობდა ჟილენსკი ქუჩაზე № 55. ორი თვე გადის, რაც მის შესახებ არაფერი ვიცით. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: კობიის ქუჩაბანდი (ტუპიკი) № 11, ნინო ლაზრიშვილს. 464

სააღდგომოდ გამოვა ჟურნალ

„პრომეთეს"

მე-3 ნომერი, შემდეგი შინაარსით:

1. აკაკი პაპავა—„სოლე[illegible]ლდორ", 2. ი. გრიშაშვილი—ლია! 3. კოწია გამსახურდია—ორი სონეტი (1. გრაფ ცეპელინს, 2. ემილ ვერჰარენს), 4. გ. ბარნოვი—ამქრის მშვენება. 5. გ. ახვლედიანი—დასაბამი ნივთთა (რიგვედიდან). 6. კ. ჭიჭინაძე—ნარზანის სამეფოში, 7. ს. წეველი—თალიკო, 8. ექვთიმე თაყაიშვილი—ოყურეშის ეკლესია და მასში დაცული ნივთები, 9. დ. უზნაძე—[illegible], 10. ვარლამ ჩერქეზიშვილი—საქართველოს პეტიცია ჰააგის კონფერენციისადმი 1907 წ.

ჟურნალი ღირს 4 მანეთი ხელზე მყიდველებისათვის. ჟურნალის ყიდვა შეიძლება ტფილისში და პროვინციებში „განათლების საგენტოებში" ისიდორე კვიცარიძის სთ. 6. პრომეთეს და სახალხო საქმის კონტორაში.

1090 სარედაქციო კოლეგია.

ტფილისის ვაჟთა მე-3-ე

გიმნაზიაში

მისაღები გამოცდები მოსამზადებელი კლასის უმცროს განყოფილებაში (საერთოსა და გაეროვნებულში) 20-სა და 21 მაისს იქნება; პირველ კლასში 21-სა და 22 მაისს.

გამოცდილთა ჩარიცხვის საკითხი სათანადო კლასში გადასწყდება მარიამობისთვეში. მარიამობისთვეშივე იქნებიან მიღებული ბავშვები გაეროვნებულ (სომხურ) საანბანო განყოფილებაში, რომელიც მომავალი წლიდან გაიხსნება. 1165

განცხადება

სასანოვაგო კომისია მთავარ გზების კომიტეტის ამიერკავკასიის რკინის გზისა, იწვევს მსურველ ვაჭრებს, რომელთაც შეუძლიანთ იკისრონ ჩაბარება საჭირო სანოვაგისა.

სანოვაგე უნდა ჩაბარდეს რომელსამე სადგურზე ამიერკავკასიის რკინის გზაზე.

ნახვა მოსალაპარაკებლად შეიძლება დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 საათამდე.

მისამართი: ტფილისის სადგური ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ამიერკავკასიის რკინის გზისა. 1150

ქართული დრამატ. საზოგ. გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის მიერ დანიშნულია პრემიები საუკეთესო ორიგინალური პიესებისთვის.

პრემიები ესეა განაწილებული:

პირველი პრემია (ერთი)	—	—	1000 მან.
მეორე პრემია (ორი)	—	—	700 „
მესამე პრემია (ერთი)	—	—	500 „

პიესებს განიხილავს იმისთვის საგანგებოდ დანიშნული კომისია.

დაბეჭდილ კონვერტებში ავტორი აღნიშნავს თავის სახელს, გვარს და პიესის სათაურს.

ეს კონვერტები გაიხსნება მხოლოდ მაშინ, როდესაც საბოლოოდ გამოირკვევა რომელ პიესას რა პრემია აქვს მინიჭებული.

პრემიით დაჯილდოვებული პიესის სცენაზე დადგმის უფლება ეძლევა განსაკუთრებით დრამატ. საზოგად. 3 წლით, მაგრამ ავტორი მიიღებს ყოველთვის თვითეულ წარმოდგენაზე დანიშნულ ჰონორარს.

პიესები უნდა წარედგინოს დრამატ. საზოგადოებას ამ წლის 15 ოქტომბრამდის ამ მისამართით:

ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორა, ტფილისი. 1138

ტფილისი. 14 მაისი 1918 წ.

პოლიტიკური მდგომარეობა

პოლიტიკური პარტიებისთვის და პოლიტიკური მოღვაწეობისთვის გაცილებით უფრო ადვილია ორიენტაციის შეცვლა, ვიდრე ხალხისთვის. ხალხის ფართო მასსა ყოველთვის უფრო კონსერვატორია, იგი ძნელად ეთვისება ახლად შექმნილ პირობებს და ყოველთვის ეჩოთირება ახალი გზით სიარული. ალარავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ ქართველი ხალხი ასი წლის მოხობამ გადააჩვია დამოუკიდებელ მოქმედებას. უკანასკნელი წლების პოლიტიკური აზროვნებაც ხელს უწყობდა იმ აზრის განმტკიცებას, რომ ურუსეთოდ ქართველ ხალხს ცხოვრება ვერ შეუძლიან. ამიტომ არც უნდა დაგვიკვირდეს, თუ დღეს, როდესაც არსებითად იცვლება მთელი პოლიტიკური გეზი ჩვენი განვითარებისა, ხალხი გაოცებული რჩება და ვერას გზით ვერ გამორკვეულა.

აიხსნება ეს სხვათა შორის იმითაც, რომ თვით პოლიტიკურ წრეებშიაც საბოლოოდ არ არის ჩამოყალიბებული ერთი მტკიცე აზრი, რომელიც შეუძლებლად გაჰბდეს [illegible] და პოლიტიკურს [illegible]. ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას აუცილებლად თავისი ლოლიკური შედეგები მოჰყვება და ვინაც ამ შედეგებისა შეიშინდება ან გაუკვირდება, იმას წინ დაწინვე არა ჰქონია გათვალისწინებული, რომ განსაზღვრულ მიზეზს განსაზღვრული შედეგი მოჰყვება.

ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება ნიშნავს უპირველესად ყოვლისა ინგლის-რუსეთის კოალიციასთან კავშირის განწყვეტას და ჩვენი პოლიტიკური ბედის დაკავშირებას გერმანიასთანა და გერმანელ ინტერესებთან. ამიერკავკასია ამიერიდან, თუ, რასაკვირველია, შეინარჩუნა თავისი დამოუკიდებლობა, გერმანიის გავლენის სფეროში შედის და იძულებულიც გაჰხდება ზიდოს მთელი პასუხის-მგებლობა გერმანიის გამარჯვება-დამარცხებისა. ეს ყოველივე ეჭვს გარეშეა და ამიტომ არც საჭიროა ეს პოლიტიკური სიტუაცია დაფარული იყოს ხალხისთვის.

რა თქმა უნდა, გერმანია თავის სარგებლობას ეძებს ისევე, როგორც ყოველთვის მხოლოდ თავის სარგებლობას ეძებდა რუსეთი. როდესაც ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა გამოცხადდა, სჩანს იმ პოლიტიკურ წრეებს, რომლებმაც ეს ძირითადი საკითხი გადასწყვიტეს, შეფასებულ-შეწონილი ჰქონდათ ესეც და მეორეც და ისე გადასდგეს პასუხსაგები ნაბიჯი.

თუ ეს ასეა, მაშინ დასკვნაც შესაფერისი უნდა გამოვიყვანოთ და არ შევუშინდეთ იმას, რომ ამიერიდან ჩვენ გერმანიის გავლენის სფეროში შევდივართ. ეს ნათელი უნდა იყოს ჩვენთვისაც და ხალხისთვისაც.

ქართული პრესა

ისევ გვიან, ვიდრე არასოდესო [illegible], რომ ეხლა მაინც შეიგნეს ჩვენმა სოციალ-დემოკრატებმა, რომ ისეთი ქვეყანა სადაც სხვა და სხვა ერი ცხოვრობს, აუცილებლად უნდა მოეწყოს ფედერატიულად. კვირის ნომერში გაზ. „ერთობა" სწერს:

არის შედარებით ბედნიერი ქვეყნები, სადაც ერთი მოდგმის ხალხი, ერთი მთლიანი ერი ბინადრობს. ასეთია, მაგალითად, საფრანგეთის რესპუბლიკა.

მაგრამ სახელმწიფოთა უმრავლესობაში მცხოვრებთა შემადგენლობა ჭრელია, მრავალი ეროვნება ცხოვრობს სხვა და სხვა ენით და ზნეჩვეულებით, სხვა და სხვა კულტურით და ეკონომიურ განვითარებით. ასეთია რუსეთი, რომელსაც ამიერკავკასია უკვე გამოეყო და ცალკე რესპუბლიკა დაარსა.

თვით ამიერკავკასიაში მრავალი ერი სცხოვრობს და ამ ერების შეთანხმება, მათში კეთილ განწყობილების დამყარება აუცილებელია. ამისთვის თითეულ ერს უნდა მიეცეს საშუალება თავისუფალ განვითარებისათვის, რაც შესაძლებელია შესაფერ საზოგადოებრივ ორგანიზაციის შექმნით. ყოველი ორგანიზაცია, ყოველი სახელმწიფოებრივი ერთეული განსაზღვრულ მიდამოებზე შეიძლება არსებობდეს. უტერიტორიოთ ვერც ერთი სახელმწიფო ვერ იარსებებს. და რადგან უკვე აღიარებულია ამიერკავკასიის ფედერატიული რესპუბლიკა, ცხადია, ახლავე უნდა განისაზღვროს ამ ფედერაციების მიდამო, უნდა შემოიხაზოს საჭირო ტერიტორია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამიერკავკასიაში მრავალი ერი ბინადრობს ყველა ერისთვის სახელმწიფო ერთეულის გამოჭრა შეიძლება ძალიან შორს წაგვეყვანდა, ისედაც ჭრელს ურთიერთობას კიდევ უფრო აჭრელებდა და ეკონომიურ განვითარებას შეაფერხებდა. მართლაც როგორ შეიძლება სახელმწიფო შექმნას ისეთმა ერმა, რომლის რიცხვი მხოლოდ რამდენიმე ათი ათასით განისაზღვრება. ასეთ სახელმწიფოს მარტო მთავრობის შესანახად არ ეყოფოდა თავისი ბიუჯეტი. ამიტომ ჯერ-ჯერობით განზრახულია ამიერკავკასიის ტერიტორიიდან გამოიჭრას სამი სახელმწიფოებრივი ერთეული, შედგეს სამი რესპუბლიკა—საქართველო, სომხეთი და ადერბეიჯანი. დანარჩენ ერებს უნდა მიეცეს ფართო თვითმართველობა.

რა კარგი იქნებოდა, რომ ჩვენს დასელებს ადრე შეეგნოთ ეს უბრალო ჭეშმარიტება!

სამშვიდობო მოლაპარაკება ბათომში

ამიერკავკასიის რესპუბლიკის დელეგაციის შემადგენლობა.

დელეგაციის თავმჯდომარე ა. ი. ჩხენკელი, დელეგაციის წევრები: მ. გაჯინსკი, რ. ქაჯაზნუნი, ი. ნიკოლაძე, რასულ ზადე და ა. ხატისოვი.

დელეგაციას თან ახლავს სამხედრო მისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე გენერალ ლეიტენანტი ოდიშელიძე, წევრნი: გენერ. მაიორი. ყორღანოვი და პოლკოვნიკი აბდულ ვამბეგ ჰაიდაბაში. მისიის მოთათბირე პოლკოვნიკი ერაძე.

დელეგაციასთან ერთად არიან აგრეთვე: დელეგაციის მოთათბირენი: პროფესორი ზ. ავალიშვილი, პროფ. ი. ლამბაროვი, ა. საფიკიურდსკი, მ. ხანბაბა, მდივნები ეროვნებათა: ს. გრუზინიან ვრაცკიანი, ს. კედია, ახმედ ბეგ პეპინოვი; ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს წარმომადგენელნი გ. ჟურული, მ. ბუნატიანი და ლ. ქიქოძე. ქართულ ეროვნულ საბჭოს საგანგებო რწმუნებული ტყვეთა საქმის გამო ი. გოგოლაშვილი.

სეკრეტარიატი: დელეგაციის საქმების გამგე—ვ. გოზდავა—სოკოლოვსკი, მისი თანაშემწენი—ს. ახვლედიანი, ქ-ნი რ. მიქელაძე, ი. დერზიბაშევი. თავმჯდომარის პირადი მდივანი ქუთათელაძე; თავმჯდომარის ადიუტანტები ა. მაჩაბელი და ახმედ ბეგ ბექანიძე, გენ. ოდიშელიძეს ადიუტანტი პოლკოვ. ამილახვარი, სხვა და სხვა დავალებისათვის ოფიცერი—ა. კიზირია, სადიპლომატო კურიერი ლ. ტერ ოგანოვი.

ოტომანის დელეგაციის უმთავრეს წარმომადგენლებად ითვლებიან: კავკასიის ფრონტის ოსმალთა ჯარის მთავარ სარდალი ვეჰიბ-მეჰმედ ფაშა, გარეშე საქმეთა მინისტრი ხალილ-ბეგი, საზოგადო საქმეთა მინისტრის ამხანაგი მუხთარ-ბეგი და გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ორხამბეგი, აგრეთვე სეკრეტარიატი და სხვ.

გერმანელების დელეგაციის მისია.

თავმჯდომარე: გენერ. მაიორი ფონ ლოსსოვი, გერმანელთა მთავარ შტაბის რწმუნებული სტამბოლში. დელეგაციის წევრები: მთავარი კონსული გრაფი შულლენბურგი—იმპერიის მთავრობის გარეშე საქმეთა დეპარტამენტის რწმუნებული საეკონომიო საკითხებში, გერმანიის ფლოტის კაპიტანი ფონ-ჰააზე—საზღვაო საკითხებისათვის ფონ ვეზენდონკი, მდივანი მისსიისა, რწმუნებული გარეშე საქმეთა დეპარტამენტისა პოლიტიკურ საკითხებში, რამდენიმე მოხელე გარეშე საქმეთა დეპარტამენტისა.

აგრეთვე მოელიან ავსტრო-უნგრეთის და ბულგარეთის წარმომადგენლებსაც.

როტმისტრი ფონ-ბეტტინგენი, მდივანი მისსიისა, ადიუტანტი თავმჯდომარისა.

მისიას თან ახლავს, გარეშე საქმეთა დეპარტამენტის მოხელეები, უფროსი ტელეგრაფისტი, სამი მოხელე ტელეგრაფისტი, შოფერები და სხვანი.

ზავის გარშემო

ტფილისი. 11 მაისი. „ანდონსანი". მთავრობის ცნობა. ამიერკავკასიის მთავრობისაგან ცხადდება, რომ კონფერენციის გახსნა ბათომში ამ ახლო ხანშია მოსალოდნელი. ჯერ ხნობით ბათომში ამიერკავკასიის დელეგაციის გარდა იმყოფება ოსმალეთის და გერმანიის დელეგაციები, რომლებთანაც ჩვენ დელეგატებს რამდენჯერმე არაოფიციალური ხასიათის ლაპარაკი ჰქონდათ. ამ მოკლე ხანში ჩამოვლენ ავსტრო-უნგრეთის და ბულგარეთის დელეგატები.

ოფიციალური დეპეშები

11 მაისი, 12 საათი.

კავკასიის ფრონტზე მშვიდობიანობა არ დარღვეულა.

12 მაისი. 12 საათი.

კავკასიის ფრონტზე მშვიდობიანობა არ დარღვეულა.

მოწინავე პოსტებიდან მოწოდებულ ცნობებით ახალციხის მხარედან 11 მაისს ზარბაზნების სროლა ისმოდა.

რუმინიის ნეიტრალიტეტი

ბუქარეშტი. 12 მაისი. „ანდონსანი". ზავის შეკვრის შემდეგ რუმინიის მთავრობამ მანიფესტი გამოსცა, სადაც სხვათა შორის, გამოცხადებულია: რუმინია აახლებს ნორმალურ ურთიერთობას მეომარ სახელმწიფოებთან და ნეიტრალურ სახელმწიფოდ ცხადდება.

ამიერ-კავკასიის მთავრობაში.

ტფილისი. 13 მაისი. „ანდრონსანი." რადგან სახალხო კომისარების მთავრობამ მთლად გააუქმა რუსეთის სახელმწიფოს სესხის ბილეთები და ამის გამო მოსპო კუპონების გადახდა და სარგებლიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა, და რადგან ისინი მთავრობის დაწესებულებებმა დაიგირავეს, უკანასკნელ წლებში რუსეთიდან სარგებლიანი ქაღალდების კუპონი ჩამოიტანეს ამიერკავკასიაში, სადაც ხაზინასა და საკრედიტო დაწესებულებებში დღემდე აძლევენ ფულს კუპონებში. ამ მოვლენამ სპეკულიაციის ხასიათი მიიღო და ამის გამო, რადგან ამიერკავკასია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა, ამიერკავკასიის მთავრობამ საჭიროდ სცნო, ვიდრე ამიერკავკასიისა და რუსეთის ურთიერთობა გამოირკვეოდეს, შემდეგი დაადგინა:

1) შეჩერდეს დროებით სესხების კუპონების და რუსეთის სახელმწიფოს სხვა ქაღალდების განაღდება.

2) შეჩერდეს დროებით სესხის მიცემა სახ. სარგებლიანი ქაღალდების დაგირავებით და აგრეთვე მათი ყიდვა სახელმწიფო ბანკის დაწესებულებათა მიერ.

3) შეჩერდეს სახელმწიფო ქაღალდების მიღება საწინდარის სახით იჯარადრებისაგან და აგრეთვე სააქციზო და სხვა გადასახადების ნაცვლად.

4) ეს დადგენილება ძალაში შედის დღეიდან მისი გამოქვეყნებისა.

ხელს აწერს: მთავრობის თავმჯდომარის მოვ. აღმასრ. **ნ. რამიშვილი.**

ფინანსთა მინისტრის მოვ. აღმასრ.
გ. გ. ტერ-არუტიუნიანი.
დაამტკიცა: საქმეების გამგემ
ხ. სირინმა.

—

მთავრობის სხდომაზე დადგენილ იქმნა: უფლება მიენიჭოს რუსთა ეროვნულ საბჭოს აირჩიოს ერთი წარმომადგენელი ამიერკავკასიის რესპუბლიკის კონსტიტუციის შესამუშავებლად.

ასეთივე შუამდგომლობა გერმანელთა ეროვნულ საბჭოსი განსახილველად საგანგებო კომისიას გადაეცა.

—

სახელმწიფო ბანკის მიერ კერძო საკრედიტო დაწესებულებებისათვის ფულის სესხების შესახებ მთავრობამ დაავალა ფინანსთა მინისტრს ამის შესახებ 3 დღეში შესაფერი მოხსენება წარმოადგინოს, მინამდე კი კერძო საკრედიტო დაწესებულებებს სახელმწიფო ბანკმა აღარ უნდა მისცეს ფული გირაონობის ქაღალდების საფასურად.

—

მიწადმოქმედების მუშათა დასაკმაყოფილებლად მიწადმოქმედების მინისტრს გადაეცა 400000 მანეთი.

—

სწავლა-განათლების მინისტრს წინადადება მიეცეს წარმოადგინოს პროექტი მასწავლებელთა კურსებისა ქართულ თურქულ და სომხურ ენებზე.

—

ვაჭრობა მრეწველობის მინისტრის ამხანაგად მეხტი-ბეკ-გაჯინსკის ნაცვლად, რომელმაც თანამდებობას თავი დაანება, ა. რუსტამბეკოვი დანიშნეს.

ომის დეპეშები

ტფილისი. 12 მაისი. „ანდონსანი".

სტამბოლი. სამხედრო მოხსენება 11 მაისისა.

პალესტინის ფრონტი. ზღვის პირის და იორდანის შუა საარტილერიო ბრძოლაა. დანარჩენ ფრონტებზე უცვლელადაა.

ბერლინი. სამხედრო ცნობა 11 მაისისა. კემმელის ახლო საარტილერიო მოქმედება გრძელდება. ჩვენი ქვეითა ჯარის მოქმედება ნაყოფიერად იზრდებოდა, ფრანგების იერიშება კემმელის ჩრდილოეთით და ლოკერთან მოგერიებულია. სომასთან სწარმოებს ძლიერი ბრძოლა ქვეითა ჯარისა. ინგლისის ჯარებმა ცეცხლის ძლიერ მოქმედების შემდეგ უშედეგოდ იერიში მოიტანეს ჩვენ ხაზებზე აველკის ტყესთან და დიდი ზარალიც მოუვიდა ჩვენი არტილერიისგან. საღამოთი იყო აგრეთვე უშედეგო იერიშები მტრისა ხანგარდის წინააღმდეგ და ავრის დასავლეთ ნაპირზე. მდ. უაზსა და ენთან მზვერავთა შეტაკებანია. შამპანში და პონტა-მუსსონი ჩრდილო აღმოსავლეთით და აპრემონის ტყეში ჩვენ მოვიგერიეთ ფრანგების ბატალიონთა იერიში. ჩვენ მოვიგერიეთ აგრეთვე იერიში ამერიკის ჯარებისა აპრემონის სამხრეთ-აღმოსავლეთით და პაროუას ჩრდილოეთით.

მაკედონიის ფრონტი. მაკოტოვის ჩრდილო-დასავლეთით გერმანიის ჯარები შეიჭრნენ ფრანგების სანგრებში და ტყვეები ხელთ ჩაიგდეს.

იტალიის ფრონტი. იტალიის ფრონტზე გუშინ სწარმოებდა საჰაერო ბრძოლა მზვერავებისა.

ბერლინი. 11 მაისი. მთავრობის ცნობა. ქვეითა ჯარის მოქმედება სწარმოებდა ლისის სამხრეთ-დასავლეთით და ავრის დასავლეთ ნაპირზე. ამის გარდა არსებითი არა მომხდარა რა.

ტრანს-ოკეანეს პრესს-ბიუროს ბიურო. 10 მაისი. ინგლისის საზღვაო ძალებმა 10 მაისს დილის სამ საათზე დაიწყეს ბლოკადა ოსტენდეს ფორტებისა ძლიერ ყუმბარების დაშენის შემდეგ. რამდენიმე გემი მოწინააღმდეგისა, ხელოვნურ ბოლის საშუალებით შეეცადა ნავთსადგურში შესვლას, მაგრამ ჩვენ სანაპიროების ბატარეის კონცენტრიული ცეცხლის წყალობით უკან დაიხია. ერთი კრეისერი გემი არხის იქით სრულებით დამსხვრეული. არხში შესავალი გზა თავისუფალია. გემის კიდეზე ნაპოვნია მხოლოდ მოკლულები; ორი კაცი, რომელნიც კიდედან გადაჰხტნენ ნაპირზე და ცოცხლად გადარჩნენ, ჩვენ ტყვედ წავიყვანეთ. დღემდე მიღებულ ცნობების მიხედვით ორი მოტორიანი ნავი მტრისა ჩვენ დავხვრიტეთ და ერთი მონიტორი ძალიან დავაზიანეთ. ამ რიგად ოსტენდის არხის ბლოკადას შედეგი არ მოჰყვა. მოწინააღმდეგემ კვლავ მსხვერპლად შესწირა თავისი გემები და ცოცხალი ხალხი, თუმც მიზანს ვერ მიაღწია. (ეს დეპეშა მიღებულია ინგლისურ ენაზე).

პარიზი. 11 მაისი. ფრონტის რამდენიმე ადგილას საარტილერიო ბრძოლა ძალიან გაძლიერდა. გერმანელებმა იერიშები მიიტანეს იმ ჯარებით, რომელნიც განსაკუთრებით იერიშებისათვის შეკრიბეს, ფრანგულ პოზიციებზე ბუაიდე-მუტონის ახლო, შეილოჩ სამხრეთ-დასავლეთით; იერიში თავში მოახერხეს და იმათ დაიჭირეს ტყის ჩრდილო ნაწილი, მაგრამ საფრანგეთის ჯარების კონტრ-იერიშების მერე დაკარგული მდგომარეობა კვლავ აღვადგინეთ. არტილერიის ცეცხლი მეტად ცხოველია ორვილერის და ნისსორენის მიდამოებში. დანარჩენ ადგილები უცვლელადაა.

მიღებულია ოსმალეთის რადიო სადგურიდან გერმანულ ენაზე. გერმანულ პრესის ცნობა.

ბუქარესტი. 11 მაისი. მეფის ბრძანებით დათხოვნილი იყო ორივე პალატა რუმინიისა. ახალი არჩევნები მოხდება 15 თიბათვეს. ახალ პარლამენტარიების რიცხვი უნდა იყოს მომავალში 176.

ბერლინი. 11 მაისი. სახელმწიფოს მდივანი კიულმანი ჩამოვიდა სოფიიდან ბერლინში, სადაც მას სადგურზე მიეგება სახელმწიფოს კანცლერი.

ბერლინი. 11 მაისი ოფიციალურად. საღამოს შემდეგ და 10 მაისს საღამოთი დაიწყო ძლიერი თავდასხმა მოწინააღმდეგის საჰაერო ესკადრამ ზებრიუგეს სოფელზე, მაგრამ ზარალი ვერ მოგვაყენა. ჩამოგდებულია 3 ჰაეროპლანი მოწინააღმდეგისა.

რადიო-დეპეშები

— სახელმწიფოს კანცლერმა გრაფმა გერტლინგმა დროებით დაიკავა ადგილი სახელმწიფოს მდივნის კიულმანისა, რადგან უკანასკნელი 10 მაისისათვის გაემგზავრა მთავარ სამხედრო შტაბში, სადაც 12 მაისს მოელიან მეფე კარლოსის ჩამოსვლას, მეფის ჩამოსვლის დროისთვის მთავარ შტაბში ჩამოვლენ ავსტრო უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი და გენერალურ შტაბის უფროსი არტცი.

— „ლიხტერ-შტატერ-ანტაიგერ" იუწყება დასავლეთ ფრონტის შესახებ: გერმანიის ჯარების ინვერნ-ბადენში შესვლის დროს იქ იყო დიდძალი გვამი ინგლისელებისა, რომელნიც მომხდარ ბრძოლებში დაიღუპნენ. ჯერ ეხლაც ინგლისის სანგრებთან მკვდრები იმავ მდგომარეობაში იმყოფებიან, რა მდგომარეობაშიც დაიღუპნენ. მეტად ნაღვლიან სურათს წარმოადგენენ, ინგლისელთა მზრუნველობის წყალობით, პელკაპელკე და ლოკენჰუდი.

ბერლინი. 13 მაისი. ლანდსდოუნმა (?) ზედა პალატაში გამოაცხადა, რომ ზომ ზავზე დათანხმება ერთად-ერთი გზაა, რითაც ინგლისი თავიდან აიცდენს დამამცირებელ შედეგებს.

ვენა. 13 მაისი. გაზეთების ცნობით ვენიდან წავიდნენ მეფე კარლო, საგარეო საქმეთა მინისტრი ბურიანი და ავსტრიის გენერალური შტაბის უფროსი არცტი, რომელთაც განზრახული აქვთ გერმანიაში კაიზერის ნახვა.

სევასტოპოლი. 13 მაისი. რუსეთის რესპუბლიკის სახალხო კომისარების თავმჯდომარე ლენინი კურსკში წავიდა, სადაც რუსეთსა და უკრაინას შორის საზავო მოლაპარაკება სწარმოებს.

ბერლინი. 13 მაისი. რადგან ინგლისელები ბევრს კარგავენ და დიდად ზიანდებიან, არა თუ ფრანგების, ბელგიელების ჯარიც თავს უყრის თავის ძალებს ბენსიჰგე-ლანგენმარკის რკ. გზის ნაწილში, რათა ინგლისელების ფრონტის ზოგიერთი უბანი დაიკავონ; ეს ფრონტი ინგლისელების დახევის გამო იპრ-ბოდენიდან ძლიერ შემოკლდა.

ახალი ამბავი

◆ **პ. სურგულაძე.** ცნობილი საზოგადო მოღვაწე ემიგრანტი პეტრე სურგულაძე სტამბოლიდან ბათომს ჩამოვიდა და მალე გამოემგზავრება სამშობლოს, საიდანაც განდევნილი იყო ხუთი წლის განმავლობაში.

◆ **სამშვიდობო მოლაპარაკებაში** ბათომში ოსმალოების მოკავშირეთა წარმომადგენელნიც იღებენ მონაწილეობას. ოსმალოთა დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდა გერმანიის მისია; ამ დღეებში ელიან ავსტრია-უნგრეთისა და ბულგარეთის მისიებსაც.

◆ **გურიიდან** ჩამოსულთა სიტყვით აჭარაში ოსმალოებს გამოუცხადებიათ, რომ მოკლე ხანში ყველა აჭარლებს 18—45 წლამდე ჯარში გაიწვევენ და შემდეგ მესოპოტამიაში გაგზავნიან ინგლისელების წინააღმდეგ საბრძოლველად. მათივე სიტყვით აჭარლებს დელეგატები გამოუგზავნიათ ფარულად გურულებისათვის. მათ უთხოვიათ ომი განაახლონ ოსმალეთთან და აჭარა დაიბრუნონ. (ერთობა).

◆ **სახალხო უნივერსიტეტის განყოფილება** გაიხსნება „ნაძალადევის" თეატრში ოთხშაბათს, 15 მაისს, საღ. 5 ს.

◆ **პროფესიონალურსა კავშირებში და მუშათა ორგანიზაციებში** საკითხი აღიძრა შემარიგებელ კამერების რეფორმისა და საერთოდ მათი როლის გამორკვევის შესახებ. განზრახულია შემარიგებელ კამერებს სახელმწიფოებრივი ხასიათი მიეცეს, როგორც ეს ახალ ზელანდიაშია.

◆ **საქართველოს სამხედრო გზით.** ტფილისის შოფერები, რომელთაც ტფილისსა და კავკავს შუა ავტომობილის მიმოსვლა მოაწყეს, აცხადებენ იმათ საყურადღებოდ, ვისაც რუსეთში წასვლა ჰსურს, რომ დღიდან მიმოსვლის დაწყებისას არ ყოფილა შემთხვევა, რომ თავს დასხმოდნენ. მიმოსვლა არ შეჩერებულა აღდგომის პირველ დღეებშიაც.

◆ **სამოსახლეო ნაწილმა** ქალაქის გამგეობისამ წინადადება მისცა მილიციის უფროსს გამოიკვლიოს სასტუმროების და ავეჯეულით გასაქირავებელ ოთახების პატრონები რამდენად ასრულებენ ქალაქის საბჭოს სავალდებულო დადგენილებას, რომლითაც დამარაგებულია ფასი სასტუმროების, ნომრების და ოთახებისა. ეს დადგენილება ძალაში უკვე 15 აპრილს აქეთ შევიდა. დამრღვევნი დადგენილებისა პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.

◆ **სამოსახლეო (ЖИЛИЩНЫЙ) ნაწილი** ქალაქის გამგეობისა წინადადებას აძლევს ყველას, ვინც კი სასტუმროში სცხოვრობს ანდა ავეჯეულობით მოწყობილ ოთახებში ფასი გადიხადონ მხოლოდ მას შემდეგ, თუ წარმოდგენილ ანგარიშში მოხსენებული ფასები იმ პრეისკურანტს ეთანხმებიან, რომელიც სამოსახლეო ნაწილმა დაამტკიცა და მოქმედებაში შევიდა ამა წლის 15 აპრილიდან.

◆ **ეროვნულ საბჭოს კრება.** დღეს, სამშაბათს, საღამოს 7 საათზე შესდგება საქართველოს ეროვნულ საბჭოს კრება,—კამათის გასაგრძელებლად ამიერკავკასიის და საქართველოს კონსტიტუციის პროექტის შედგენის თაობაზედ.—ცალკე მოწვევას ბარათები წევრებს არ დაეგზავნებათ. კანდიდატთა დასწრება საჭიროა.

◆ **აფთიაქების მუნიციპალიზაცია** რუსეთის ბევრ დიდ ქალაქში აფთიაქები კერძო პირებისგან ადგილობრივ თვითმართველობათა და მუშათა დეპუტატების საბჭოების ხელში გადავიდა, მაგ., პეტროგრადში, კიევში, ხარკოვში, [illegible], სამარაში და სხვ.

◆ **ბათომელ ხმოსნების თათბირი.** ბათომის საბჭოს ხმოსნების რამდენიმე კერძო თათბირი მოხდა ქ. ფოთში საბჭოს თავმჯდომარის ბულდაკოვის თავმჯდომარეობით. განიხილეს საკითხი, თუ როგორ დაეხმარონ ბათომიდან წამოსულ ქალაქის თვითმართველობაში მოსამსახურე პირებს. თათბირის შემდეგ აირჩიეს კომისიები.

◆ **ამიერკავკასიის მთავრობის საქმეების გამგემ** სირინმა სამსახურს თავი დაანება. ამ ადგილზე დანიშნავენ ს. დ. ჯაფარიძეს.

◆ **ამიერკავკასიის რკინის გზის უფროსმა** მიმართა გზათა მინისტრს შემდეგი დეპეშით: „5 მაისს თქვენთან გამოგზავნილ დეპეშაში გთხოვდით გამოგეგზავნათ ჯავშნოსანი მატარებელი სამშვიდობო დელეგაციისათვის, რომელიც ინჟინერ მარკოვის თაოსნობით გაემგზავრა. დელეგაცია სადგურ ნარაშენთან გაძარცვეს, რადგანაც ჯავშნოსანი მატარებელი არ არის გამოგზავნილი კონდუქტორები უარს აცხადებენ სადგურ არარატის იქით წასვლაზე. შიშობენ, რომ ისინიც არ გაძარცვონ ადგილობრივ მცხოვრებლებმა. გთხოვთ ამ მდგომარეობას ყურადღება მიაქციოთ რათა აღდგენილ იქმნას მიმოსვლა ჯულფის ხაზზე.

◆ **მისაღები გამოცდები** ქართულ გიმნაზიაში დაიწყება 20 მაისს (ახალ სტილი) დილის ათი საათიდან.

◆ **სექციის სხდომა.** დღეს 14 მაისს (ახ. სტ.) ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკის შენობაში დილით 1 საათზე დანიშნულია საქ. ეროვ. საბჭოს „სახალხო მეურნეობის" სექციის სასწრაფო სხდომა. განსახილველია საყურადღებო საკითხები. წევრებს სთხოვენ— არ დაიგვიანონ.

◆ **ანისის მუზეუმი.** ანისის მუზეუმში დაცული ისტორიულ-არქეოლოგიური ხასიათის ნივთების ნაწილი, აშხარბეკ ქალანთარიანის გმირული მოქმედების წყალობით, გადაურჩენიათ და გადმოუტანიათ სანაჰინის მონასტერში და მოუთავსებიათ ძველი წიგნთსაცავის შენობაში. ნივთები ბევრ ადგილას მხრებით გადმოუზიდავთ ბილიკებზე. ორჯელ გადმომზიდავთათვის ოსმალ მხედრებს და ქურთებს თოფებიც კი დაუშლიათ. („ჰორიზონი").

◆ **ბეითალ-ექიმთა და ფერშალთა** ყრილობაზე, რომელიც მოხდა 2 აპრილს 1918 წ., არჩეულ იქმნა ამიერკავკასიის საბეითლო საქმეების გამგეთ ბიურო, რომელიც შესდგება სამი პირისაგან. არჩეულ იქმნენ ამ ბიუროში თავმჯდომარედ ლ. ლაშხაური და მის ამხანაგად ს. ახმეტელაშვილი და ვ. ბურცევი.

◆ **ერევნიდან** აფრიდონიძე გზათა მინისტრს დეპეშით ატყობინებს, რომ ორთქლმავალის უფროსმა (№ 731 მატარებლის) გამოაცხადა, რომ იმას სროლა დაუწყეს ქურთებმა, ორთქლმავალის ქვაბი გაფუჭეს.

◆ **განჯიდან.** ხასმამედოვი შინაგან საქმეთა მინისტრს 11 მაისს დეპეშით აუწყებს: დღეს სამსახურის მოვალეობის ასრულების დროს ფეხში დასჭრეს სადგურ ძეგამის ერთი დამცველთაგანი. დაუსჯელობამ გაათამამა ყაჩაღები ამიტომ შევადგინე ასკერთა ახალი რაზმი, რომელსაც ერთი ოფიცრის მეთაურობით იქ ვგზავნი კიდევ გთხოვთ გამომიგზავნოთ ჯავშნოსანი მატარებელი.

◆ **ტფილისის დამცველმა შტაბმა** შეიპყრო: ბერძნის პოლკის ოფიცერი ვ. ელევტეროვი სროლისათვის. ჯარის კაცები რეპინი და კრასლიაროვი ხაზინის საქონლის გაყიდვისათვის. ძმები კოლინკაროვები იარაღის გაყიდვისათვის.

◆ **მკვლელობა.** 11 მაისს ალა-მა-

სამაჰმადიანო საქართველო

(მეგობრის წერილიდან).

I

...საშინელია, მეგობარო, ღალატი! და უფრო საზარელი მაშინ, როცა გაჭირვებული, განსაცდელში ჩავარდნილი და სიკვდილის პირისპირ მდგარი ელი შველასა და ხსნას და დახმარების მაგიერ ღალატი გრჩება ხელში, საშინელი მუხანათობა! და უფრო თავზარდამცემია ღალატი მაშინ, როცა მოღალატე შენივე მოძმეა, შენი სისხლი და ხორცი, შენი აზრის, ფიქრის, გრძნობის ობიექტი, შენი დღისა და ღამის საზრუნავი საგანი... ჩემს სამშობლოს რომ უცხო ტომი შემოესეოდა, ჩემი სამშობლო რომ უცხო თესლის ბარბაროსებს გაეწეწნათ და გაენიავებინათ, ჩემი სამშობლო რომ სხვას დაექვრივებინა და ძალით შემოსა, ბარბაროსთ ჩემს მკერდზე რომ ჩემი შვილი წაეკლათ და მის სისხლით ჩემი სახე შეეღებათ, მერწმუნე, მეგობარო, ამას უფრო შევურიგდებოდი უბედურებას ჩვეული, ვიდრე მას, რომ სამაჰმადიანო საქართველოს ანაოჰებული და სევდიანი შუბლი ღალატის სამარცხვინო გვირგვინით შეიმოსა. საქართველო პატარა ქვეყანა იყო და არის, საქართველოს ახსოვს წარსულში თავის უორგანიზაციობა და დაქსაქსულობა და ამას ეხლაც განიცდის, პატარა საქართველოს ბევრი დიდი შავი დღე უნახავს და თვის შვილთა სისხლში, მტრისაგან დანთხეულში, ბევრჯერ ატივტივებულა, წინ ბევრჯერ ასტუზვია საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი, მაგრამ მის ისტორიაში ღალატის სახელი არსად არის მოხსენებული და ქართველობას გამყიდველობა და მუხანათობა არავისთვის გაუწევია. და დღეს კი... ღალატის სამარცხვინო დაღიანი შევცრვართ კულტურისა და განათლების საუკუნეში. სამაჰმადიანო საქართველომ, რომელზეც ჩვენ ამ ბოლო დროს იმდენი ცრემლი დაგვიღვრია სინანულის და სიბრალულისა; რომელზე ფიქრშიც გვეტარებია მრავალი დღე და ღამე, გვიმუხთლა, გაგვყიდა, გვიღალატა; და გვიღალატა მაშინ, როცა საქართველოს [illegible] იყო [illegible] და მის თავზე მტრის მახვილი მოსაქნევად [illegible]...

საქართველო მტერს მოელოდა, საქართველო დაქსაქსული იყო, დასუსტებული ოთხი წლის ომით და ჩვენი მეზობლების გაუტანლობის წყალობითა, მაგრამ ისე კი არა, რომ სუსტ მტერს მაინც კიდევ ვერ შებრძოლებოდა. ქართველობამ გმირობის ფურცლით მორთო რუსეთის ისტორია და კარპატის [illegible] ტყეებში თუ ვისლის გაუვალ ჭაობებში მამაცობის მაგალითი უჩვენა ძლიერ მტერს და დღესაც შესძლებდა. თავის სამშობლოს დაცვის ჟამს, მტრისთვის ზურგი არ ეჩვენებინა. და თუ ეხლა სამშობლო დაკოდილი ჰყავს, ეს ჩვენი მოძმე ქართველი მაჰმადიანობის წყალობითა. დაბეჯითებით შეიძლება ვსთქვა, რომ აჭარლები და საერთოდ ქართველი მაჰმადიანები არა, საქართველოს მიწა-წყალზე მტერი ვერ გაიჭაჭანებდა, მაგრამ... როცა საქრისტიანო საქართველო ოთხი წლის ომში მოიფეთქა და მოიქანცა, სამაჰმადიანო საქართველოს მკლავი ჰქონდა დასვენებული. სამხედრო ბეგრისაგან თავისუფალი, უქმად ატარებდა მთელს დროს, ხომ იცი, მეგობარო, და ყავის სმასა, თუთუნის წევასა და ნარდის თამაშში ჰლევდა დღეს... და როცა მოჰბეზრდა წოლა მხარ თეძოზე, ბნელ და გაიძვერა ხალხისგან ვნებააშლილმა და გალიზიანებულმა ვერაფერი ჰქმნა სხვა გარდა იმისა, რომ სამშობლოსკენ მტერს გამოუძღვა და თავის უვიცობის და სიბნელის სამსხვერპლოზე მტერს მიართვა თავის სამშობლო და მშობელი ერი, ხელ-ფეხ შეკრული, გვემული, დასისხლიანებული, შეურაცხყოფილი მანდილ ახდილი და ძალით მობურული...

მეგობარო, გახსოვს, [illegible] ტკბილ [illegible] სიამე განგვიაცდია სამაჰმადიანო საქართველოს ტურფა და კეკლუც ბუნების სიმშვენიერისა და სინაზის ხილვითა!.. გახსოვს ის მზის ალერსი სიცილი, თვალ-უწვდენ, ქოჩორა მთების სიგრძეზე და ნარნარობა; მუქ, ღრმა ხეობების სიტურფე და იდუმალება, ცივ ანკარა წყაროების საიდუმლო ენა და თეთრ თმიან ჩანჩქერების მომხიბვლელი მუსიკობა, გუგამ ყოროლას აჩირებული ზღაპრები და ნაზ, ჯადოსან სიოს მოუსვენრობა, ბულბულის აჟინებული აშიკობა და ჰრანქია მთვარის დაუსრულებელი კისკასობა, მთელი ბუნების ჯადოქრობა, სინაზე, სინარნარე და მშვენიერება!.. გახსოვს, იისა და ზამბახის ტურფა ნოხზე წამოწოლილი რა ტკბილი ოცნებას ვეძლეოდით და რა სიამეს ვპოულობდით იმედის ხვეულებში, რომ ეს კუთხე სამშობლოსი, მოჯადოებელი და მადლიანი, მაგრამ სიბნელით და უკულტურობით მოცული, საუკუნოებით დამონავებული და გასრესილი, წელში გაიმართებოდა და აღდგენილი და განახლებული, დაკარგული და უპატრონო, მშობელი დედის მივიწყებულ ძუძუს დაუბრუნდებოდა. და, რამდენიც უფრო დიდი შრომა და ჯაფა წინ გველოდა, იმედი, უსაზღვრო იმედი გზას გვინათებდა და ძალასა გვმატებდა... ეხლა, მეგობარო?.. ბუნება ისევ კეკლუცობს, მაგრამ იმედი კი ალ-ქაჯებმა ცხრა-კლიტულში გამოამწყვდიეს და ტარიელს დიდი ცდა და სულის ძალა დასჭირდება, რომ თვის ნესტან-დარეჯანი ტყვეობიდან გამოიხსნას. მზეც... მზეც იცინის ისევ, მაგრამ ეხლა სახეზე სისხლის ლაქები აქვს დამჩნეული და მისი სხივები ფეხაკრებით უკან დასდევენ ამ ლამაზ ბუნების კალთაში დაღუპულ მოძმეთა აჩრდილებს; მთები ისევ გოროზობენ, მაგრამ წინანდელი სინარნარე დაუკარგავთ და მწვანის მაგიერ წითელი კაბით მოსილან, მოძმეთა სისხლით რომ არის გაჟღენთილი [illegible]... [illegible] იმის ბუნების [illegible], მაგრამ მას თანვე... სისხლის ნაკადულთა ხმაც, კვნესაც, წყევლაც, ქვითინიც... ომის ღმერთმა სისხლი დიდი დაანთხია, ღალატისამ—ნაკლები, მაგრამ უფრო მწვავე და საგრძნობელი... საქართველოში რომ ეხლა ზარი გუგუნებს გლოვისა, ეს ჩვენი მოძმე მაჰმადიანებისაგან არის ჩამორეკილი. საქართველოს რომ დღეს ცეცხლი უკიდია, ჩვენი მოძმე ქართველ მაჰმადიანთაგან არის უმთავრესად წაკიდებული, საქართველოში რომ კვნესა ისმის და ვაება, ეს უმთავრესად ჩვენ მოძმეთა ბრალია. მაგრამ მაინც ნუ დასწყევლით, ბიჭო, ქართველ მაჰმადიანებს... იტირეთ, ცრემლი ჰღვარეთ რამდენიც გინდათ, მაგრამ ეგ ცრემლი იყვეს სიბრაზის კი არა, ბოროტი გრძნობით გამოწვეული კი არა, ეგ იყოს ცრემლი სიბრალულისა, რომ ისტორიულ პირობებს ისე დაუმახინჯებია ეს ხალხი, გადაუგვარებია, მოუკლავს გრძნობა და მოუდუნებია გონება, რომ მშრომელ დედაზეც კი აღუბინა ხელი და გაჭირვებისა და განსაცდელის ჟამს მშობელ ერს მახვილი ჩაცემინა უკანიდან, იტირეთ, ბიჭო, რომ ისტორიამ ერთხელ კიდევ დაგვაყარა თავზე სიცილი, სიცილი მწარე და გესლიანი და დიდი ხნის დაკარგული მოძმენი უცაბედად შეგვყარა მხოლოდ იმიტომ, რომ კვლავ ერთმანეთს დიდი ხნობით განვშორებოდით...

სამაჰმადიანო საქართველომ შეირცხვინა თავი და მტრის ყბად ასაღები გახდა, მაგრამ [illegible] თვითონ უბირი, მდაბიო ხალხი, მან გვიღალატა თუ მას ღალატებინეს? ამაზე შემდეგ წერილში გამოგეხმაურები.

II.

...[illegible] ღალატებინეს? ამაზე [illegible], მეგობარო, ამ წერილში მომეწერე. ამ კითხვაზე ორი პასუხი შეუძლებელია: ქართველ მაჰმადიანებმა კი არ გვიღალატეს, აღალატებინეს. შენ თვითონ ჩვენთან ერთად მთელი წელიწადი გაატარე აქა, შენ თვითონა გქონდა შეძლება პირადად გენახა და მოგესმინა ყველაფერი, გამოგეკვლია ქართველ მაჰმადიანობის გულის ჭრილობა და ის გაგეთვალისწინებინა—რა მალამო იყო საჭირო ამ იარის განსაკურნავად და რა გზას უნდა დავადგომოდით ჩვენ, რომ ეს უბედური ხალხი, უპატრონო და გაუნათლებელი, კულტურის და განათლების, მეცნიერების და წინსვლის გზაზე გამოგვეყვანა სიბნელის და სილატაკის ორწოხებიდან. 292 წელია, ჩემო კარგო, რაც მესხეთში ისლამი შემოიჭრა, და ახალციხის მაზრა, აჭარა, ქობულეთი, შავშეთ-ერუშეთი, იმერხევი და ლივანა, ლაზისტანი და სხვ. საქართველოს მოსწყდა ძუძუდან და მთელი სამესხეთო მაჰმადის სჯულს, ოსმალეთის უკულტურობას, ბარბაროსობას და გაუტანლობას ეზიარა. და მთელი საუკუნეები ამ ხალხს, იძულებით მოწყვეტილს დედის ძუძუდან, არ უნახავს არაფერი გარდა უვიცობის, სიბნელის, ძალადობის, ბარბაროსობის, მონობის და მუხანათობისა. ესმოდა მტიალი, ტუქსვა, ლანძღვა და გინება, არ ესმოდა მშობლიური ტკბილი სიტყვა, ნუგეში, იმედიანობა. ჰხედავდა ძალადობას, პიროვნების შეურაცხყოფას, გაბიაბრუებას; ვერ ჰხედავდა მოწამე მფარველობის, პიროვნების პატივისცემის, მზრუნველობის და სამართლიანობისა; ჰხედავდა ღალატს, მუხანათობას და გაუტანლობას, ვერ ჰხედავდა პირდაპირობას, გამბედაობასა და მოყვრობას. და ამ ხალხმა დაივიწყა თავის ძველი რაინდობა, ვაჟკაცობა, ქველობა და სამართლიანობა, პირდაპირობა და გამტანლობა, მშობელ დედის სიყვარული და ერთგულება. ისტორიულმა და პოლიტიკურმა უკუღმართობამ პირობებმა თავისი საქმე შეასრულა და შთამომავლობას ჩააბარა მთელი ხალხი უპიროვნო, დაბეჩავებული, დაკნინებული, გასრესილი, მოკლებული სიცოცხლის უნარს და თავისუფლების სიყვარულს. ვინც აქ არა ყოფილა და თავისი თვალით არ უნახავს საუკუნოებით შექმნილი ორწოხები, სადაც ხალხი სიბნელესა და გაჭირვებაში ჩაფლულა ყელამდე, ის ამას ვერ წარმოიდგენს. მაგრამ, შენ, მეგობარო, შენ ხომ შენის თვალით გინახავს ამ ხალხის უბედურება და დაჩიავება და შენი ყურით მოგისმენია მისი ვაება და გასაჭირი. ქართველ მაჰმადიანობას აღარ შერჩენია ის, რაც ადამიანის პიროვნების ღირებულებას და დანიშნულებას შეადგენს, აღარა აქვს საკუთარი „მე", საკუთარი სახე, საკუ-

მედ-ოღლიმ უეცრათ რევოლვერით მოჰკლა დარაჯი ყარაუნხან-მაჰმედ-ოღლი, მკვლელი დაიმალა.

◆ **ხაბაზშვო წარმოდგენა ქართულ კლუბში.** წარსულ შაბათს ქართულ თეატრში წარმოდგენა კი არა რაღაც უშნო ტიკინების ხტუნვა იყო; რაიც სამწუხაროა ჩვენს ქართულ კლუბში... საზოგადოება ჩვენი კლუბის მამასახლისებს ნდობით ეკიდება, გზავნის თავის შვილებს და იქ კი ხელოვნებას ამახინჯებენ ვიღაც ბიჭბუჭების მეთაურობით ბავშვების, ვით ტიკინების, ხტუნაობა თამაშით... თუ ქართულ კლუბის მამასახლისნი არავითარ ყურადღებას არ აქცევენ სცენის ხელოვნებას, სადღა არიან მსახიობთა კავშირის გამგებელნი? თუნდ დამსახურებულნი ჩვენი მსახიობნი? სხვა არა იყოს რა ერთი მათგანი ხომ კლუბთან ახლოა?..

სოფლად და ქალაქად

ქართლი

◆ უბედურია ძველებურად სოფელი, გაჭირვებული. ფული თუმცა არის, მაგრამ არაფერი იშოვება. ამ უწამლობამ და უექიმობამ ხომ ხალხი განსაცდელში ჩააგდო. სენი ათასგვარია სოფლად მოდებული, სიკვდილი გამარჯვებული, მაგრამ პატრონი არავინ არის.

◆ ლოთობა სოფელს უფრო და უფრო ედება. ყველა ღვინოში იკლავს თავს, ვისაც ქიქის აღება შეუძლია. ლოთობამ არაყის ხდა გამოიწვია. თითქმის ყველანი ხდიან არაყს და ქირნახულს არა ჰზოგავენ. სოფელი გალოთდა და დაავადმყოფდა და თუ დროზე არ გამოუჩნდა პატრონი, ხალხი გადაგვარების გზაზე დადგება.

◆ ქურდობაც გახშირდა სოფლად. არავინ იცნობს არავის და იპარავენ ყველაფერს, რის მოპარვაც შეიძლება. წინააღმდეგობის გაწევა ძნელია, სოფელი გულშემატკივარს მოკლებულია და თუ სათავეში ვინმე მოექცევა, ეს ისევ „მობოლშევიკო“ ჯარისკაცები არიან, რომელნიც ქურდობას და ავაზაკობას არც თვითონ უარობენ.

◆ მოსავალი ყველაფრის კარგი უნდა იყვეს, თუ ხალხი ღმერთმა შეიბრალა და ტაროსი არ შეიცვალა.

◆ სოფლად ზოგიერთი ვაჭბატონები დაძვრებიან და ხალხს აგულიანებენ არ წავიდნენ ომში. ომი ეხლა თავად-აზნაურობას უნდა და ხალხს დაღუპვას უქადიანო. საჭიროა ამ პროვოკატორების წინააღმდეგ სასტიკი ზომები იქმნეს მიღებული.

ს. დვანი

◆ აღდგომა დღეს სოფ. დვანის ყრილობამ ერთხმად დაადგინა, რომ მომავალი ამ სოფლის დღესასწაული „კვართობა“ (კი ხიჯრობა) წრეულობით არ იდღესასწაულონ, რადგან ყველაფრის სიძვირეა და ამასთან ხალხი აღელვებულია რევოლუციისა და თავისუფლების მტრების უგვანო პროვოკატორულ ცრუ ხმებით და შესაძლებელია დღეობაში გამომთვრალმა ზოგიერთმა პირებმა უწესოება ჩაიდინონ.

◆ სადგილ-მამულო რეფორმა ახალის კანონით აქეთ ჯერ ისევ განხორციელებულია და კიდევ ის გლეხები ეპატრონებიან და ითვისებენ მემამულეთა მიწებს, რომელთაც სხვებზე მეტი საკუთრება აქვთ და ღარიბ-ღატაკი უმიწა-წყლო გლეხი კი უმიწოდ რჩება.

◆ მოსავალს კარგი პირი უჩანს თუ არაფერი გამოტყვრა და ამინდმა ხელი შეუწყო.

მირი

◆ მეტად ქინქლიანი გამოდგა პარილი. ერთი დღე რომ მზიანია, ორი ქარიანი, წვიმიანი და სუსხიანი. ერთი ხანობა რთვილიც ჩამოჰყარა და ხეხილი ცოტა დაზიანა.

◆ როგორც სოფ. ერედვიდან გვატყობინებენ ცხინვალის ამბოხების შემდეგ ტყეში გაქცეულნი ნაჯარისკაცარი დაბრუნდნენ უკან და იარაღიც აიყარეს. სოფელი სინანულით არის მოცემული იმაზე, რაც მოხდა. იმედია გლეხები მომავალში მაინც არ აჰყვებიან „მობოლშევიკე“, გახელგანებულ ვაჭბატონებს და კონტრ-რევოლუციონურ ქსელში აღარ გაებმებიან.

პარტიაში

ოთხშაბათს, 15 მაისს საღამოს 6 საათზე, პარტიულ კლუბში, გაიმართება ამხ. სამსონ ფირცხალავას მოხსენება შემდეგ თემაზე: ,,ბათომი და ოზურგეთი‘‘.

მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი და აზრთა გაზიარება.

—

დღეს, 14 მაისს, საღამოს სრულ ექვს საათზე, დანიშნულია მუშათა კავშირის გამგეობის სასწრაფო კრება. დაგვიანება შეუძლებელია. გადაწყვეტილია ფრიად დიდ მნიშვნელოვანი საკითხები.

—

დღეს სამშაბათს 14 მაისს, დანიშნულია კუკიის კომიტეტის კრება საღამოს 7 საათზე პარტიულ დარბაზში. წევრების დასწრება სავალდებულოა.

—

პარტიულ ამხანაგების საყურადღებოდ აცხადებს ტფილისის კომიტეტი რომ ვისაც არა აქვს პარტიული საწევრობარათი ვალდებულნი არიან შეიძინონ. მიღება შეიძლება ბიუროში ყოველ დღე.

ამიერკავკასიის რკ. გზის მოსამსახურეთა სოც.-ფედერალისტთა კოლლექტივის კრება დანიშნულია ოთხშაბათს, 15 მაისს, საღამოს 6 საათზე, მოძრაობის მეორე განყოფილების უფროსის კანტორაში. კოლლექტივს გამგეობა სთხოვს ამხანაგებს აუცილებლივ დაესწრნენ კრებას.

სადგ.-მამულო რეფორმა

ტფილისის საგუბერნიო სადგილ-მამულო გამგეობამ თითეულ მაზრისათვის ცალკე შეიმუშავა სია იმ მამულებისა, რომელნიც სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით დიდ საფასურს წარმოადგენენ; გორის მაზრაში ამისთანა მამული 13-ია ბაღებით თითო 10—20 დესეტინა, სიაში შედის აგრეთვე ბორჯომის ფერმა. ბორჩალოს მაზრაში ამისთანა მამული, რომელშიაც მეჯოგეობა და ფერმებია მოწყობილი, სულ 15-ია.

გორის მაზრაში საადგილმამულო კომიტეტმა უნდა ჩამოართვან 40 კერძო მამული, სულ 3400 დესეტინა.

ბაქოელი სომხები და ბოლშევიკები

26 აპრილს მოხდა ბაქოსა და მისი მიდამოების რევოლუციის დამცველი კომიტეტისა და სომხური ეროვნული საბჭოს წარმომადგენლების შეერთებული კრება, რომელსაც განსახილველ საგნად ჰქონდა სომხური ეროვნული სამხედრო ნაწილების გადაკეთების საკითხი. კრებამ დაადგინა:

1) მეორე სომხური სათადარიგო ქვეითა პოლკი გადაკეთდეს: მისი ერთი ნაწილი უნდა შევიდეს ჰამაზასპის ბათალიონში, მეორე ნაწილი კი შეუროის საბჭოების წითელი ბათალიონები რომ სდგება.

2) ჰამაზასპის ბათალიონები გადაკეთებულ უნდა იქმნან: ისინი სრულებით უნდა დაექვემდებარონ საბჭოების მთავრობას და წითელ ჯარში მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე ბათალიონების სახელით შევიდნენ.

ხელს აწერენ: რევოლუციის დამცველი კომიტეტის მხრით, ს. შაჰუმიანი და ყორღანოვი, ხოლო სომხეთა ეროვნული საბჭოს მხრით—ა. გულხანდანიანი, ნ. ტერ-ღაზარიანი და ს. ტერ-ღაზარიანი. („მშაკი“)

საქარ. ეროვნული საბჭო

მე-15-ე სხდომა 12 მაისი.

თავმჯდომარეობს გ. ლასხიშვილი.

საგანი კრებისა იგივეა, რაც წინად, შემუშავება საქართველოს კონსტიტუციისა. როგორც მკითხველს მოეხსენება, წინა კრებაზე ეროვნულმა საბჭომ აირჩია კომისია, 9 კაცისაგან შემდგარი, რომელიც თავის ერთ-ერთ წევრს დაავალებდა საბჭოსადმი მოხსენების წარდგენას. კომისიას ასეთ მომხსენებლად დაუსახელებია **ხერგი ჯაფარიძე**. იგი დაახლოვებით ასე მოახსენებს საბჭოს საქმის ვითარებას:

კომისია სულ რამდენიმე დღის წინედ იყო არჩეული. მან ვერ მოასწრო საქართველოს კონსტიტუციის პროექტის დამზადება და საბჭოსადმი წარდგენა. ამიტომ, რაკი კომისიას დრო არ ჰქონდა საკითხი ყოველმხრივად განეხილა და დამზადებული პროექტი წარმოედგინა ჩვენთვის, კომისიამ გადასწყვიტა მოგახსენოთ თქვენ ძირითადი დებულებანი ამ კონსტიტუციისა.

9 აპრილს გამოცხადდა ამიერკავკასიის ფედერატიული რესპუბლიკა. ამ სახელმწიფოებიდან ის გამომდინარეობს, რომ კონსტიტუცია ამიერკავკასიის საზღვრებში უნდა იქმნას შედგენილ-შემუშავებული.

საკონსტიტუციო კომისიამ თავის მუშაობის დასაწყისშივე ასეთი ბუნებრივი საკითხი დააყენა: რაკი დეკლარაციით გამოცხადდა **ფედერატიული** რესპუბლიკა, ამით კომისია ხომ შეზღუდული არ არის და, ასე ვსთქვათ, დავალებული არ არის შეიმუშაოს სწორედ **ფედერაციის** პროექტი და არა ისეთი წესწყობილების პროექტი, როგორიც უფრო ხელსაყრელი და შესაზამი იქნებოდა ჩვენ რესპუბლიკისთვის, ვსთქვათ, კონფედერატიული წესწყობილებისა. ამაზე დეკლარაციის ავტორმა გვიპასუხა, რომ მას ვიწროდ არ ესმის ფედერატიული რესპუბლიკა და რომ შეიძლება წესწყობილება კონფედერატიულიც იქმნეს რესპუბლიკაში, რადგან მისთვის (ფედერატიულისთვის) განსაზღვრული სახე არ მიეციათ.

ამ რიგად, კომისიას ვალად ედება შეიმუშაოს აგრეთვე სახე ამიერკავკასიის რესპუბლიკისა.

მოგეხსენებათ, საზოგადოებაშიაც და გაზეთებშიაც არჩევენ ორ ფორმას—ფედერაციას და კონფედერაციას.

რა განსხვავება არის ამათ შორის? შვეიცარიის, ამერიკის შეერთებულ შტატების და გერმანიის კონსტიტუციასაც ფედერაციას უწოდებს მეცნიერება, ფაქტიურად კი ავსტრო-ჰუნგრეთშიც, სადაც რეალური უნიაა იგივე ფედერაციაა.

ასე რომ განსხვავება სახელწოდებაში კი არ არის, არამედ შინაარსში. ვინც კი მეცნიერთაგანი ფედერაციას ხმარობს, ის მოსურნეა კავშირი სახელმწიფოთა შორის დიდი და ძლიერი იყოს, ხოლო კონფედერაციის მომხრენი იცავენ სუსტ კავშირს სახელმწიფოთა შორის.

რა საერთო საქმეები უნდა გადაეცეს ამ კავშირს და რაგვარი ორგანიზაცია უნდა იყოს ამ კავშირისა?

კომპეტენციის საკითხი ყოველგან უდავოდ მიღებულია, კავშირს ეძლევა საგარეო პოლიტიკა, სამხედრო, საბაჟო და საფინანსო საქმეები. ეს უდავო საქმეებია.

შემდეგ ზოგ ფედერაციას მეტ კომპეტენციას აძლევენ, ზოგ ნაკლებს. კერძოდ ჩვენთვის რომელია შესაძლებელი და მისაღები? თათრები მოისურვებენ, რომ კავშირი ჩვენ შორის სუსტი იყოს, ე. ი. დამყარდეს კონფედერატიული რესპუბლიკა. ქართველთა ზოგიერთ წრეებშიაც ასეთივე აზრი ტრიალებს.

კომისიას ამ საკითხზე თავის დასკვნა და აზრი არ გამოუთქვამს, ამიტომ მე ჩემს მოსაზრებებს მოგახსენებთ.

როგორ კავშირი სჯობია ჩვენთვის სუსტი თუ ძლიერი, ე. ი. ფედერაცია თუ კონფედერაცია? ჩვენი აზრით—რაც უფრო ძლიერი იქნება საქართველო, მით უკეთესი იქნება. ეროვნული და ეკონომიური მოსაზრებათა მიხედვით ჩვენთვის სწორედ ძლიერი კავშირია საჭირო.

ეროვნული მოსაზრებანი ასეთია. ქართველი ერი მეტად პატარაა და მცირე რიცხოვანი. პატარა ერს თავისუფალი არსებობა არ შეუძლიან. მას უეჭველად უნდა ჰყავდეს მფარველი, უმფარველოდ მისი ცხოვრება დაემსგავსება იმ ყოფას, რომელშიაც იგი იყო მეთვრამეტე საუკუნემდე, ვიდრე საქართველო რუსეთს შეუერთდებოდა და რუსეთის სახით ძლიერ მფარველს იპოვიდა. გარდა ამისა, ზოგიერთი წრეებში ქართველთა შორის დიდი სიმპატიაა თათრებისადმი. ეს სიმპატია აღმოცენებულია რომანტიზმის ნიადაგზე. და რომ ეს რომანტიული სიმპატიაა, ამას ამტკიცებს დღევანდელი სურათი ახალციხისა. ნახეთ, როგორ დაუნდობლად გვებრძვიან და სურთ ის, რაც ჩვენია, ჩამოგვაშორონ. ჩვენთვის არის საჭირო სწორედ ძლიერი კავშირი ამიტომ, რომ ჩვენ იმათზე გავლენა ვიქონიოთ და არა იმათ მოიპოვონ ჩვენზე გავლენა.

მეორე მოსაზრება სასარგებლოდ იმისა, რომ კავშირი იყოს ძლიერი, არის ეკონომიური. სახელმწიფოა უნდა ფული, ფული კი მოსდევს საქონელს. საქონლის მხრივ კი საქართველოს აქვს ტყეები, მადნები, წყლები, შავი ქვა. ადერბეიჯანს აქვს ნავთი, რომელიც ჩვენ სახელმწიფოს არ ექნება, თუ კავშირი ძლიერი არ იქნა.

მესამე ჩემი პირადი მოსაზრება არის დემოკრატიზმს, დემოკრატიის ინტერესი. მოგეხსენებათ, ქართველი ხალხი ყველგან დემოკრატიულია და მისი ინტერესი მოითხოვს მას მოკავშირეთ დემოკრატიავე უპოვოთ და არა ბეგები და მემამულენი. ესენი მის ინტერესებს არა თუ არ დაიცავენ, დასჩაგრავენ. ჩვენ, როგორც დემოკრატიულ სახელმწიფოში, შემოვიღებთ და დავაკანონებთ რვა საათის სამუშაო დღეს, ბაქომ შეიძლება 12 საათის სამუშაო დღე მიიღოს. ამით ის ჩვენ მრეწველობას კონკურენციას გაუწევს და ჩვენ ეკონომიურად დავიჩაგრებით.

აი ის საზოგადო და შეიძლება ზერელე მოსაზრებანი, რომელთაც მიხედვით საჭიროა ჩვენთვის ძლიერი კავშირი.

როგორ უყურებს ჩვენი ფრაქცია სოციალ-დემოკრატიულ პარტიისა, ამას გაიგებთ საერთო საქმეთა იმ ნუსხიდან, რომელსაც ეხლა წავიკითხავ.

ოთხი საქმე უდავოა. 1) საგარეო პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს ყოველგვარ მოლაპარაკებას უცხო სახელმწიფოებთან როგორც ომის საკითხებზე, ისე სავაჭროზე. 2) სამხედრო საქმე. კანონმდებლობა ჯარის შესახებ, მისი გამოყენება საჭიროების დროს, გადაყვან-გადმოყვანა, მართვა-გამგეობა. ჩვენის აზრით, უფლება გამოყენებისა ცალკე შტატებს კი არ უნდა ჰქონდეთ, არამედ კავშირს, წინააღმდეგ შემთხვევაში შეტაკება აუცილებელია. 3) საბაჟო საქმე. ეს ისე ნათელია, რომ მასზე სიტყვას არ გავაგრძელებ. 4) ფინანსიური საქმე. აქ მოქმედება საკავშირო შემოსავლისა სხვა და სხვა წყაროდან და თუ ეს შემოსავალი საკმარისი არ არის, მოქალაქეთა დაბეგვრა.

აი ის ოთხი საკითხი, რომელიც დავას არ იწვევს. ჩვენს ფრაქციას, გარდა ამ ოთხ საკითხისა, რომელთა გამგებლობა კავშირს უნდა დაექვემდებაროს, აქვს კიდევ სხვა საქმენი, რომელნიც, ჩვენის აზრით, აგრეთვე კავშირს უნდა ჰქონდეს გამგებლობაში. ასეთი საქმეები: 1) ფულის სისტემა. ფულის მოჭრა უეჭველად კავშირის საქმე უნდა იყოს, თუმცა შესაძლებელია ტეხნიკა ფულის მოჭრისა საქმის გასაადვილებლად, მინდობილი ჰქონდეს ცალკე შტატსაც. ქაღალდის ფულის გამოშვება კი უეჭველად კავშირის ხელში უნდა იყოს. 2) სასწორ-საზომი ამიერკავკასიის შტატებში ერთი უნდა იყოს. 3) რკინის გზები. ამიერკავკასიის რკინის გზა საერთო მნიშვნელობისა არის, ამიტომ იგი კავშირს უნდა დაექვემდებაროს. მაგრამ ჩვენ გვაქვს აგრეთვე კერძო გზებიც, მაგ., კახეთისა. ეს დაექვემდებარება ცალკე შტატს. კავშირსვე უნდა ემორჩილებოდეს ის საქმეები, რომელნიც ახალ გზათა გაყვანა გაკეთებას შეეხებიან. კავშირს უფლება ეძლევა გამოიყენოს ომის დროს რკინის გზები ჯარის გადაყვანისთვის, ხოლო მშვიდობიანობის დროს ვაჭრობა-მრეწველობის მეტ ამოძრავება-გაცხოველებისათვის. 4) ფოსტა ტელეგრაფი და საერთაშორისო ტელეფონი. ეს გაერთიანებული უნდა იყოს. მაგ., ტფილისი ბაქოსთან ან განჯასთან, ან ადერბეიჯანის რომელიმე პუნქტი საქართველოს ან სომხეთის პუნქტთან, ის კი მოხერხდება მაშინ, როცა ტელეფონი და ტელეგრაფი ერთის ხელში, კავშირის ხელში იქნება. 5) სავექსილო, სავაჭრო ვალდებულებანი და სანივთო უფლება. შეუძლებელია, ხონში ერთი ვექსილი იყოს, ნუხაში მეორე. ვექსილების სხვა და სხვაობა საზარალო იქნება ვაჭრობის განვითარებისათვის. სოჯახო უფლება (ქორწილი, გაყრა) შეიძლება ცალკე შტატს დაექვემდებაროს. 6) მინიმალური განათლების საქმე აგრეთვე კავშირის საქმე უნდა იყოს. 7) სამოქალაქო და სისხლის სამართალი ცალ-ცალკე შტატებს უნდა ემორჩილებოდეს, მაგრამ თვით პროცესი კი სასამართლოსი ყველა შტატში საერთო უნდა იყოს. საერთო კავშირის ხელში უნდა იყოს სიკვდილითი და ფიზიკური დასჯა, მაგალითად, პოლიტიკურ საქმეებისთვის. 8) შრომის დამცველი კანონმდებლობაც უნდა კავშირის ხელში იყოს.

რაც შეეხება თვით ორგანიზაციას კავშირისას, ამაზე უნდა მოგახსენოთ შემდეგი. ავსტრო-უნგრეთში, სადაც რეალური უნია არსებობს, საერთო საკითხები სწყდება დელეგაციათა შეკრებით. დელეგაციები იკრიბებიან, ბჭობენ საკითხებზე და მერე ერთმანეთის მიმოწერის საშუალებით აცნობებენ. თუ სამგზის მიმოწერამ ნაყოფი ვერ გამოიღო მაშინ შეიკრიბებიან და ხმის უმრავლესობით სწყვეტენ საქმეს.

ყველგან, სადაც კი ფედერატიული წესწყობილებაა, სამგვარი ორგანო არსებობს საერთო: 1) საკანონმდებლო რომელიც ორი პალატისგან შესდგება (ზემო და ქვემო პალატანი), 2) აღმასრულებელი (მთავრობა, მინისტრთა კაბინეტი ან საბჭო) და 3) სასამართლო.

ჩვენში უნდა იყოს ერთი წარმომადგენლობითი პალატა, სადაც დეპუტატებს ირჩევს პირდაპირ ხალხი საყოველთაო და პირდაპირი არჩევნების წესით. საკითხები ამ პალატაში წყდება ხმის უმრავლესობით.

თუ საკითხი შეეხება კონსტიტუციის ან მთლად ან რომელიმე მისი ნაწილის თუ მუხლის შეცვლას, ასეთ საქმეების გადაწყვეტა უნდა მიენდოს პარლამენტს (პალატას) და ხალხსაც.

გარდა ამისა უნდა უზრუნველყოფილი იყოს უმცირესობათა უფლება.

გ. ლასხიშვილი. გარდა ამ მოხსენებისა, როგორც წინა კრებაზე იყო სურვილი გამოთქმული, დღეს სურთ მოხსენებანი წაიკითხონ აგრეთვე სხვა და სხვა ფრაქციებს. მე უკვე მომივიდა ბარათები, რომლითაც ითხოვენ სიტყვას: „ალიონის“ ჯგუფი, სოც.-ფედერალისტები და ნაც. დემოკრატები. ესერებისგან მე არავითარი ბარათი არ მიმიღია. სიტყვა ეკუთვნის პ. საყვარელიძეს.

პ. საყვარელიძე. („ალიონელი“) ბატონებო! ის, რაც აქ ეხლა ს. ჯაფარიძემ მოგახსენათ, არსებითად არც ფედერაციაა და არც კონფედერაცია. წარმოდგენილ პროექტს სრულებით არ ახლავს სწორედ ის მომენტი, რომლითაც ხასიათდება ფედერაცია.

ფედერაციის კლასიკური ქვეყანაა შვეიცარია. თუმც ზელანდიის (ავსტრალიის) კონსტიტუციაში არის ზოგიერთი ისეთი მუხლი, რაც უპირატესობას აძლევს მის კონსტიტუციას ფედერალურ კონსტიტუციებთან შედარებით, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ზელანდიის ფედერაცია ინგლისის იმპერიას ემორჩილება და თავისუფალი არ არის. ამიტომ ჩვენ სანიმუშოდ და სამაგალითოდ უნდა ავიღოთ შვეიცარია, რომელიც სამართლიანად ითვლება ფედერაციის კლასიკურ სამშობლო ქვეყნად.

აქ, შვეიცარიის ფედერაციაში, ცხადად არის გამოთქმული საერთო ნება, სუვერენიტეტი ხალხისა, ხოლო ეს ნება ორნაირი ნაკადით გამოითქმის და არა ერთი გზით, როგორც აქ ჯაფარიძე გვირჩევს. შვეიცარიაში ერთი პარლამენტი კი არ არის, არამედ ორი. და სწორედ ამ მომენტით ხასიათდება ყოველგვარი ფედერაცია, რასაც ჩვენ ჯაფარიძის პროექტში ვერ ვხედავთ სრულებით. შვეიცარიაში არის ერთი საერთოდ არჩეული პარლამენტი და მეორე კიდევ ნაციონალური კრება, სადაც თვითეულ კანტონიდან ორ-ორი წარმომადგენელია არჩეული და რომელიც ამ რიგად 44 კაცისგან შესდგება (22 კანტონი $\times$ 2=44). კანონს იხილავს ერთიც და მეორეც. მაგრამ თუ პირველ, საერთო პარლამენტისგან მიღებული კანონი მეორე ნაციონალურმა კრებამ, რომელიც კანტონთა წარმომადგენლებისგან შესდგება, არ მიიღო, ასეთი კანონი არ კანონობს და ცხოვრებაში არ ტარდება. კიდევ ვიმეორებ, თუ ორნაირი ნაკადი არ არის, მაშინ ფედერაცია არ არსებობს.

ამიერკავკასიაში, უკვე გადაჭრილი საქმეა, წყობილება უნდა იყოს ფედერალური, გინდ ფედერალისტური. მაგრამ საკითხავია: რა უფრო უნდა, რა უფრო ესაჭიროება ამიერკავკასიას?

ამიერკავკასია არ წარმოადგენს ისეთ ერთეულს, როგორიც არის, ვსთქვათ, შვეიცარია. იქ თუ შეიძლება ფედერაცია, აქ არ შეიძლება. იქ შეიძლება იმიტომ, რომ ფედერაციას აქვს ნიადაგი ევროპის კულტურაზე, იქაური ერები (გერმანელები, ფრანგები, იტალიელები) კულტურის მხრივ ერთმანეთს არ ჩამოუვარდებიან, კულტურული განვითარებით მათი დონე თითქმის თანაბარია. აქ კი კულტურის და ეკონომიკის სხვა და სხვა საფეხურზე ვდგავართ. მაშასადამე, უნდა გამოიძებნოს ისეთი ფორმა, რომელიც ჩვენთვის უფრო შესაფერი და მისაღებია.

ჯაფარიძემ წარმოგვიდგინა პროექტი. გვითხრა, რომ უნდა იყოს ერთი ცენტრი, ერთი პარლამენტი, რომ-

---

თარი გრძნობა, სურვილი, ნების ყოფა; მონაა უპიროვნო, დაკნინებული, მიწასთან სწორი, სხვის სურვილის შემსრულებელი, სხვის ნების ყოფის ყმა... სტირის სხვის ცრემლით, იცინის სხვის სიცილით, კვნესის სხვის ვაებით, აზროვნობს სხვის კარნახით. ამიტომაც არის, რომ ყველას ემორჩილება და ყველას უჯერებს, მაგრამ ვერც ერთთანა პირდაპირობს და ერთგულობს, და პირმოთნეობის და ფარისევლობის ხვეულებში იკარგება. აბა, მეგობარო, გაიხსენე შერიფი, ხასან ალა, ალია, მემედი, ახმედი, ჰუსეინი, ჯემალი, მუსა, სულეიმანი; ზიულფია ხანუმ, სერველა ხანუმ, გულიზარ ხანუმ, ზექიე, შადიე ხანუმ და სხვა და სხვა და სხვა ყველა, ვისაც ჩვენს თვალწინ გაუვლია და ვინც ჩვენთანა ყოფილა და მითხარი—რომელ მათგანს შეამჩნიე გულწრფელობა და პირდაპირობა? ჩვენ მათთან ერთად ვსაქმიანობდით. მათთან ერთად ვიყავით ჭირშიაც და ლხინშიაც, მაგრამ, გახსოვს? ვერც ერთში ვერ აღმოვაჩინეთ და ვერ მივიკვლიეთ—სად იწყებოდა გულწრფელობა და სად თავდებოდა პირმოთნეობა. რომელიც ჩვენ საუკეთესო მუშაკი, ერთგული და პირდაპირი გვეგონა, ის აღმოჩნდებოდა ხოლმე ყველაზე პირმოთნე, მუხანათი და გაუტანელი, და ყველაზე ცუდ შთაბეჭდილებას, ხომ გახსოვს, ის ახდენს, რომ მოსისხლე მტერი მოსისხლე მტერს პირში მოუყვრობს და ერთგულობს, ზურგს უკან კი ჰლალატობს და სამარეს უთხრის. გახსოვს, ერთმანეთს როგორ აძაგებდნენ ხოლმე ჩვენთან და ჩვენ პირში ცამდე ავყავდით ქება დიდებითა, ზურგს უკან კი, სხვასთან რამდენჯერ ველანძღეთ... ჰლანძღავდნენ ხოლმე რუსებს და ოსმალოებს ზიზღით იხსენიებდნენ? გახსოვს მასთანვე როგორ დაძვრებოდნენ რუს მოხელეებთან, ბათომის უფროსთან, ჟანდარმერიასთან და ეხლა ოსმალოებს ფიანდაზად ქვეშ როგორ ეგებებიან? მაგრამ ნუ იფიქრებ. მეგობარო, ვითომ ეს ხალხი ოსმალეთს უერთგულებს ისტორია რომ უკუღმა შემოტრიალდეს და რუსის ხიშტი გამოჩნდეს კიდევ სამაჰმადიანო საქართველოს მიდამოებში, ეს ხალხი ოსმალეთსაც ისევე ადვილად გაჰყიდის, როგორც ადვილად გაჰყიდა საქართველო და წელში ოთხად მოხრილი წარმოჩოქებს რუსთა წინაშე... ეს ხალხი უგზოა, უკვალოა, უპატრონოა; გემია უსუქნო, რომელსაც ზღვის ტალღა იქით-აქეთ მიახეთქებს საითკენაც ქარი შემოუბერავს; ფარაა ცხვრისა, რომელიც იქით გაექანება, საითკენაც შემოუქნევს ჩომახი მწყემსისა. და ეს ამ უბედური ხალხის უეცრობის და სიბნელის ბრალია. ასეთ ხალხს საკუთარი მსოფლმხედველობის, საკუთარი სურვილის გამოჩენა არ შეეძლო, არ შეეძლო არც ერთგულება და არც ღალატი და თუ მაინც მოღალატეთა სიაში ჩაიწერა ისტორიის ფურცლებზე თავი, ეს იმ გაიძვერა ხალხის ბრალია, რომელიც ვერ შეურიგდა თავისუფლებას და თვის ბატონობის ტახტის დათმობა არ მოისურვა. იმ ხოჯების ბრალია, რომელნიც ოსმალეთიდან გადმოვიდნენ და ქადაგება დაუწყეს ხალხს, ვითომ ისლამს აქ საშიშროება მოელოდა, იმ ბეგების ბრალია, რომელთაც არაფრად ეპრიანათ ხალხის გაბატონება და თავის ბატონობის დამხობა, იმ გაიძვერათა ბრალია, რომელთაც ისე ეშინიათ სინათლის, სიმართლის, თავისუფლებისა; ბრალია მეტადრე ჯემალბეგ ხიმშიაშვილისა, ამ იუდის კერძის, სამშობლო და მშობელი ერის გამყიდველის, ბოროტი და სულმდაბალ ადამიანისა, რომელიც რუსის მთავრობისაგან ხალხის ჩაგვრისა და დაწიოკებისათვის ბოძებულ ს „პაგონებით“ არის დაჯილდოვებული და ახლა ოსმალეთის მთავრობა თავის სამშობლოს გაყიდვისათვის ალბად ვალის ან ფაშის გვირგვინს დაადგამს. ამ იუდამ სხვების, თავის ბოროტი სულით მონათესავე ხალხის, შემწეობით წააცდინა უბედური, უბირი ხალხი, დაარწმუნა, რომ თავისუფლება მონობა იყო, რომ ქრისტიანი ქართველობა მას უბედურების მეტს არაფერს მოუტანდა, რომ თვითონ ოქროს სამოსით იმოსებოდა და მაჰმადიანი ქართველობა კი ისევ მშიერი, დაჩაგრული რჩებოდა და... მშობელი ერისკენ პირველი ტყვია ამ უბედურ ხალხს მათ გამოასროლინეს და მოძმის სისხლში ამოასვრევინეს ხელი. ვიმეორებ, ქართველი მაჰმადიანობა, უბირი ხალხი, ინიციატივას მოკლებული, თოფის აღებას თვით ქრისტიან ძმებთა წინააღმდეგ თვითონ ვერ მოახერხებდა, რომ ჯემალ-ბეგები, ომერ-ეფენდები და ძმანი მათნი არა ყოფილიყვნენ. და და თუ ძმები დღეს ისევ გადაიყარნენ და მოძმეთა უმანკო სისხლით ჩამოირეცხა სამაჰმადიანო საქართველოს მიდამოები, ამაში ჯემალ ბეგები არიან უმთავრესად დამნაშავე და ისინი არიან ზიზღისა და კრულვის ღირსი, უბირი ხალხი კი, ხალხის მასსა, ღირსია მხოლოდ სიბრალულისა, რომ ამოდენა ხანი დაჰყო მონობაში და სიბნელეში, და როცა მის ცის კაბადონზე თავისუფლების და იმედის ცისკარი ავარვარდა, მას თავის ხელით ტალახი ასროლინეს ამ თავისუფლების და ადამიანობის სიმბოლოს, თავის ხელით ყელი გამოაჭრევინეს, თავის ხელით დაადაღვინეს მშობლის ძუძუ და თავის ძმებს ქრისტიან ქართველებს, რომელთაც მისთვის მხოლოდ კეთილი სიცოცხლე და სამართლიანობა ჰსურდა, აღალატებინეს...

ვაი ხალხს, რომელსაც თავისი საბედი ისტორიის შავ წიგნში თავისივე ხელით ჩააწერინეს!

ხანგანიძე.

ლიც კანონებს გამოსცემსო. მითხარით, სად არის აქ ელემენტი, ატომი ფედერაციისა? მე გადაჭრით ვამბობ, რომ წარმოდგენილი გეგმა არც ფედერაციაა და არც კონფედერაცია, ეს არის უნიტარული სახელმწიფო.

ადერბეიჯანის დემოკრატიასთან უნდა დავაკავშიროთ ჩვენი დემოკრატიაო. კარგი საქმეა, მაგრამ მითხარით, სად არის გარანტია, რომ ჩამორჩენილი, დაქვეითებული დემოკრატია ადერბეიჯანისა ჩვენი დემოკრატიის პროგრესსა და წინსვლას არ შეაფერხებს? შეგნება და დაწინაურება საათობით და წლობით კი არა ხდება, არამედ ათეული და ასეული წლობით და ადერბეჯანის დემოკრატიას თქვენ ერთბაშად ვერ გაათანაბრებთ ჩვენს დემოკრატიასთან გონებრივად. ს. ჯაფარიძემ 8 საათის სამუშაო დღე აიღო სამაგალითოდ. მეც მასვე მოვიყვან. იგი ამბობს კავშირი ძლიერი უნდა იყოს იმიტომ, რომ ბაქოს მუშამ 12 საათის დღე არ შემოიღოს ნაცვლად 8 საათისა მე ვამბობ, ჩვენში მალე 7 და 6 საათის სამუშაო დღეზე დაიწყებენ ლაპარაკს და განახორციელებენ კიდეც, ბაქოში კი იქნებ 12 საათის დღემ დიდხანს გასტანოს. მაგრამ აქედან დასკვნა ისეთია, რომ ძლიერი კავშირით ჩვენ დავაქვეითებთ ჩვენს ცხოვრებას, შევბორკავთ ჩვენს წინ მსვლელობას, განვითარებას. ძლიერი კავშირით ჩვენ ვქმნით პროგრესის შემაფერხებელ კანონმდებლობას: დიახ, ფაქტი ერთი და იგივეა, მაგრამ დასკვნა სხვა და სხვანაირი გვაქვს მე და ჯაფარიძეს.

ჩვენი სურვილი და მისწრაფებაა მინიმუმი უფლებათა ცენტრს, მაქსიმუმი უფლებათა ცალკე შტატებს (ტაში).

ბატონებო! აქ ნავთიც მოიყვანეს ძლიერი კავშირის დასადასტურებლად. ნავთი რაღაც ფეტიშით გადუქცევიათ. დაუჟინიათ: ნავთი, ნავთი, თითქოს უნავთოდ ცხოვრება არ შეგვეძლოს. ბაქო რუსეთში არ არის, მაშ რუსეთს უნავთოდ ცხოვრება აღარ შეუძლიან? ჩვენ უნავთოდ არ დავრჩებით, ამით ნუ გვაშინებთ. ბაქო ყველას აძლევს ნავთს და რაღა ჩვენ გამოგვწირავს და უნავთოდ დაგვტოვებს?

ფედერაცია არის საკავშირო სახელმწიფო, მაგრამ მის გვერდით არის მეორე დაწესებულება, სადაც თვითეულ კანტონისგან, იმისდამიუხედავად, დიდია თუ მცირე რიცხოვანი ესა თუ ის კანტონი, თანასწორად არიან წარგზავნილნი წარმომადგენლები კონფედერაცია არ არის ერთნაირად არჩეული პარლამენტი. ამ პარლამენტს საერთო აქვს, როგორც აღნიშნეს, ოთხი საქმე საგარეო პოლიტიკა, ჯარი, ფინანსები და საბაჟო.

თქვენ ამბობთ, ბ. ჯაფარიძევ, რომ ერთ პარლამენტში საქმეები ხმის უმრავლესობით გადასწყდებაო. ეხლაც გაქვთ ერთი პარლამენტი—სეიმი, მაგრამ იქ განა ხმის უმრავლესობით სწყვეტთ საქმეს? გარეგნულად, ფორმალურად კი, მაგრამ ფაქტიურად შეთანხმებით. თუ სამი ფრაქცია ერთმანეთში არ შეთანხმდით, იქ საკენჭოდ საქმეს ვერ გამოიტანთ,

რაც შეეხება რეფერენდუმს, ჩვენ უნდა უარვყოთ რეფერენდუმი ცენტრისა, სამაგიეროდ უნდა მივიღოთ რეფერენდუმი ადგილობრივი, შტატებისა.

უნდა მივიღოთ აგრეთვე ინიციატივაც. განსაზღვრულ რიცხვს მოქალაქეებისას უფლება უნდა მიეცეს საკითხის აღძრვისა.

გარდა ამისა უნდა განაპირა ქვეყნებსაც ყურადღება მიექცეს და შეძლებისდაგვარად უნდა დაკმაყოფილებულნი იქმნენ. მაგ., ახალციხის მაზრას და აბხაზეთს უეჭველად შინაური თვითმართველობა უნდა მიეცეთ.

ვუბრუნდები რა რეფერენდუმს, ვამბობ, რომ ზოგიერთი დიდმნიშვნელოვანი კანონი უნდა გადაეცეს ხალხს დასტურის მისაცემად. მაგ. ფინანსიური კანონი. თუ, ვსთქვათ, საქმე 1 მილიონ მანეთს აღემატება, რეფერენდუმი იქნება სავალდებულო, ე. ი. მთავრობა ვალდებული უნდა იყოს მიმართოს ხალხს დასტურისათვის.

რა საქმეები უნდა იყოს საერთოდ ამიერკავკასიის კავშირისა, ამაზე აქ არ ვილაპარაკე. მე ეხლა მხოლოდ ზოგადად მოგახსენეთ ჩემი მოსაზრებანი.

გ. ლასხიშვილი. სიტყვა ეკუთვნის სოც.-ფედერალისტების ფრაქციის წარმომადგენელს გრიგოლ რცხილაძეს.

(გაგრძელება ხვალ).

ქართველები ჯარში

ჩემი ძმა ჯარის კაცი ივანე კიმოთეს ძე ჰანკოტაძე სოფ. ლუბრუმის მცხოვრებელი, მსახურებდა, მესამე კავკასიის მუშათა ბრიგადის მეთორმეტე ბატალიონში, მესამე როტაში პირველ ზვოდში. ოთხი თვეა მისი არავითარი ცნობა არა გვაქვს. ვსთხოვთ ყველას ვინც რამე იცის გვაცნობონ გაზეთის საშუალებით ან კერძოთ მისამართით: ხაშური სახლი ჩიქოვანისა ოლღა ჰანკოტაძეს.

ჯარის კაცი ივანე (იონა) პავლეს ძე კილასონია რვა წელიწადი ჯარში მსახურობდა, 4 წელიწადს რუსეთში. პირველად ომის დაწყებიდან გადმოყვანილ იქმნა სხვა და სხვა ერთეულში. უკანასკნელად იმყოფებოდა ქ. ბაქოში 269 ქვეითა მარქაფა ერთეულში 13 რაზმში. აგერ მეექვსე თვეა რაც მისმა ჭირისუფლებმა არაფერი იციან. ვერც წერილით, ვერც დეპეშით ვერაფერი გაიგეს.

ამიტომ უმორჩილესად ვთხოვთ თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ შეგვატყობინოს პრესით ანუ წერილით შემდეგის მისამართით: Чiатуры Кут. Губ. ბიბლიოთეკა - სამკითხველოში — შავი ქვის მრეწველთა საბჭოში—პლ. კილასონიას. რისთვისაც უღრმესი მადლობელი დავრჩებით.

პატ. პ. კილასონია.

წერილი რედაქციის მიმართ

გაზეთ „ერთობის" მე 78 ნომერში წერილი იყო დაბეჭდილი კახეთის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეების გაფიცვის შესახებ.—ამ წერილმა დიდად გამაკვირვა და ამაღელვა, როდესაც წერილის ავტორი ვლ. ბ—ძე ამბობს, ვითომც კახეთის რკ. გზის სოციალ-დემოკრატი მუშები გაფიცვის წინაამდეგი იყვნენო და მხოლოდ სოციალისტ-ფედერალისტი მუშა-მოსამსახურენი გაფიცვას უჭერდნენ მხარსაო.

ამაზე მოგახსენებთ შემდეგს: თუმცა დღევანდელ როთულ მომენტში, როდესაც ჩვენი სამშობლო და სისხლით მოპოებული თავისუფლება განსაცდელშია და საჭიროა ყველა პარტიის სოლიდარობა და ერთად თანხმობით შემოქმედებითი მუშაობა, უადგილოთ მიმაჩნია მათ შორის პოლემიკა, მაგრამ ზემო აღნიშნულ წერილის ავტორს ვლ. ბ—ძეს ისეთი შეუწყნარებელი ბრალდება აქვს წამოყენებული კახეთის რკინის გზაზე მომუშავე სოც.-ფედ. მუშების წინაამდეგ, რომ შეუძლებელია გაჩუმება და იძულებული ვარ შესაფერისი პასუხი გავცე და ამით გამოვიყვანო მკითხველი საზოგადოება იმ შეცდომიდან, რომელშიც შეჰყავს ვლ. ბ—ძეს თავის წერილით. გარდა ამისა მსურს საზოგადოებას გავაცნო ის პირობები და მდგომარეობა, რომელშიც იმყოფებიან კახეთის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეები. იმ დროს, როდესაც სიძვირემ საშინელი ხასიათი მიიღო და ძველ ჯამაგირებში თავის რჩენა ყოვლად შეუძლებელი შეიქმნა, ჩვენმა ამიერკავკასიის დროებითმა მთავრობამ ამ გარემოებას შესაფერისი ყურადღება მიაქცია, გამოსცა განსაკუთრებული დეკრეტი, რომლის ძალითაც რკინის გზებზე მოწუშავეთ ჯამაგირები ემატებოდათ. ამიერკავკასიის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებმა, ამ დეკრეტის ძალით, მომატებული ჯამაგირები მიიღეს წარსული წლის პირველ სექტემბრიდან.

ჩვენ კახეთის რკინის გზის მუშა-მოსამსახურენი კი ამა წლის მარტის დამლევამდის ხმა-ამოუღებლივ ვმუშაობდით ნახევრად მშივრები და ველოდით, რომ ჩვენც ვიქნებოდით ისევე დაკმაყოფილებულნი, როგორც ეს მოხდა ამიერკავკასიის რკინის გზაზე. როდესაც ჩვენ წარუდგენდით ხოლმე ვისაც ჯერ არს მოთხოვნილებას, ყოველთვის პასუხად ის მოგვდიოდა, რომ გზას შეძლება არა აქვს, გზარალობთ, ფული არ არის და ამიტომ მოიცადეთ სანამ [illegible] საჭირო ფულს სადმე იშოვის და დაგაკმაყოფილებთო.

კახეთის რკინის გზის სათავეში დგას ეგრეთ წოდებული „გამგეობა" რომლის შენახვაც გზას უჯდება წლიწადში 100,000 მანეთამდის. აი ამ გამგეობის მოვალეობას შეადგენს იზრუნოს როგორც თვით გზის, აგრეთვე მუშა მოსამსახურეთა საკეთილდღეოდ. მის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს შექმნას ისეთი პირობები, რომ გზის შემოსავალმა იმატოს იმდენად, რომ შესაძლებელი იყოს დაიფაროს ყველა ის აუცილებელი ხარჯები, რომელიც გზას დღეს დღეობით აქვს.

იმ დროს როდესაც ყველაფერი პროგრესიულად ძვირდება, დღითი დღე ყველაფერს ერთი-ათად ფასი ემატება ჩვენ გზაზე ისევ ძველი ტარიფი არსებობს და გამგეობა არ ჰფიქრობს მის გადიდებას, რომ ამით მაინც დააღწიოს თავი იმ აუცილებელ კატასტროფას, რომელიც მოელის ჩვენ გზას.

ჩვენ, ამ გზის მუშა-მოსამსახურენი დარწმუნებული ვიყავით, რომ აუტანელ მდგომარეობას ჩვენივე ცენტრალური კომიტეტი მაინც მიაქცევდა ყურადღებას, იზრუნებდა და აიძულებდა გამგეობას, რომ გამოენახათ რამე წყარო და დაეკმაყოფილებინათ ჩვენი კანონიერი მოთხოვნილება. მაგრამ, როგორც სინამდვილემ დაგვანახვა, ცენტრალურმა კომიტეტმა ჩვენი ინტერესები ფეხ ქვეშ გასთელა, გამგეობას, რომელიც აწარმოებს როგორც გზას, აგრეთვე მუშა მოსამსახურეთა დამღუპველ პოლიტიკას, მხარში ამოუდგა და გამოილაშქრა ჩვენს წინაამდეგ.—გზაში მკაცრი დეპეშა გამოგვიგზავნა, რომლითაც გვიკრძალავდნენ ლაპარაკსაც კი ამ საგანზე და თუ ვინმე გაჰბედავდა მათ ურჩობას, მეორე დღესვე დათხოვნით გვემუქრებოდნენ. აი ამ გარემოებამ გამოიწვია მუშათა შორის უკმაყოფილება და გაფიცვაც კი დააპირეს.—ამ საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად კრებაც დანიშნეს ნავთლუღში.—სანამ საერთო კრება შესდგებოდა, ჩვენმა ამავე გზაზე მომუშავეთა სოც.-ფედერალისტთა მუშა მოსამსახურეების პარტიულმა კოლექტივმა მოახდინა წინასწარი კრება და ერთხმად გადასწყვიტა, რომ გაფიცვისთვის მხარი არ დაეჭირათ, რადგანაც ეს დღევანდელ პირობებში მიუღებლად მიაჩნდათ.—

ჩვენ გვწამდა, რომ არც სოც. დემ. მუშები, რომლებიც გაფიცვისთვის ემზადებოდნენ, გაფიცვას კი არ გამოაცხადებდნენ, არამედ გაითვალისწინებდნენ ჩვენი გზის ცენტრალურ კომიტეტის წევრების მოქმედებას და თუ საშიროდ დაინახავდნენ, შეეცდებოდნენ მათ გამოცვლას, როგორც საქმისთვის უვარგისებს, გამონახავდნენ და აირჩევდნენ ისეთ პირებს, რომლებიც იზრუნებდნენ როგორც თვით გზისთვის, ისევე მუშა მოსამსახურეთა კეთილდღეობისთვის, მათ ჯამაგირების მომატებისათვის და ფულის შოვნის საშუალებასაც გამონახავდნენ.—მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. დანიშნულ კრებაზე ილაპარაკეს მხოლოდ ჯამაგირების მომატებაზე და ცენტრალურ კომიტეტის წევრების მოქმედებაზე კი (ალბად შიშით) კრიტიკაც არ დაუძრავთ.—როდესაც კრების თავმჯდომარის მიერ საკითხი იყო დასმული, ვის არ სურს, რომ ძველ პირობებში მუშაობა განაგრძოსო, მას მიემხრო მშიერ მუშა-მოსამსახურეთა მეტი ნაწილი და წინაამდეგი იყვნენ ზოგიერთი უფრო შეგნებული სოც.-დემოკრატი მუშები და ყველა სოც.-ფედერალისტი მუშა მოსამსახურენიც, როგორც ეს დადგენილი ჰქონდა მათ კოლექტივს წინასწარ კრებაზე.

რომელ სოც. ფედერ. მუშებზე ლაპარაკობს ვლ. ბ—ძე თავის ზემოაღნიშნულ წერილში, აღარ ვიცი! ნუ თუ ეს პატივცემული პიროვნება თავის პარტიის წევრებს აღარ იცნობს? ან იქნება ის მეორე, რომელზედაც საცემლად იწვია ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარემ ჯ—ლმა, გლ. ბ—ძეს სოც. ფედერალისტი ეგონა? არა, მან ყველანი იცნო და ყველაფერი კარგად გაიგო, მაგრამ მაინც რაღაც მიზეზით საჭიროდ დაინახა სოც. ფედერალისტ მუშა - მოსამსახურეთა გაფიცვის [illegible] და სამშობლოს მოღალატეებად გამოცხადება.—შეიძლება ვლ. ბ—ძეს ეს შეუფერებელი ბრალდება იმიტომ დასჭირდა, რომ შეაშინოს ს. ფ. მუშები და ხმა ჩააწყვეტინოს, რომ მათ მოქმედებას კრიტიკა აღარ გაუკეთონ? არა, ვლ. ბ—ძევ, იმის იმედი ნუ გექნებათ.

დასასრულ მინდა ვკითხო, რომელ სამშობლოზე ლაპარაკობს ვლ. ბ—ძე თავის წერილში, ნუ თუ საქართველოზე? რადგან ეჭვი მებადება.—თუ სამშობლოს დამცველები ვყავით, განა სამშობლოს დასაცავად არ იყო წასული ბათომში სოც.-ფედერალისტთა რაზმში მებრძოლი კონდუქტორი ამხანაგი ი. ესიტაშვილი, რომ იქ წასვლა დანაშაულად ჩაუთვალეთ და სამსახურიდანაც დაითხოვეთ და ბოლოს ძალდატანებით უკანვე მიიღეთ მხოლოდ მეისრეთ? განა სოც. ფედ. მუშა ამხანაგ ს. ყირმელაშვილის დროებით (რამდენიმე დღით) განთავისუფლება საქართველოს დაცვის საჭიროებისთვის არა გთხოვეთ, რომ სამჯერვე უარი გვითხარით? ამის შემდეგ განა შეიძლება ბ. ბ—ძევ სხვას უწოდოთ სამშობლოს მოღალატე?

ასეთია ჩვენდამი უსაბუთო ბრალდება თქვენი მხოლოდ პირადული ჟინიანობით და სხვა არაფერი. მაგრამ ამით თქვენ ფონს ვერ გახვალთ...

დამსწრე სოც. ფედერალისტი.

გამომცემელი სამსონ ფირცხალავა
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა

საცობი
(„პრობკა")
მინერალური წყლების, ლუდის, ღვინის, კვასის და წამლების (სააფთიაქო). სოლოლაკი, სერგიევის ქ. № 14, ეზოში, მარჯვნივ. 485

მოვუწოდებ ქართველ შეძლებულს ადამიანს
ან ორგანიზაციას აღმოუჩინოს საშუალება ყმაწვილს, რომელსაც სურს სწავლის მიღება. იმედი მაქვს, რომ მთელ საქართველოში მოიპოვება ერთი ვინმე მაინც, რომელიც არ დაიშურებს შეძლებას და თანაუგრძნობს ახალგაზრდა ადამიანს. დაწერილებით ვთხოვ წერილის საშუალებით. Боржомъ. Довостребованія Спиро. 487

იძლევა იჯარით ორ სართულიანი სახლი, 8 ოთახით, 4 წლის პირობით ფასად 3000 მან. ეს ფული საჭიროა რემონტისათვის. მსურველთ შეუძლიათ იკითხონ მე-9 უბ. ნორიის ღმართზე № 11, საბაშვილი. 476

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დღის 12—2 საათ. [illegible] ქ. № 6.

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეზხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ № 8. 450

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქუჩა, № 7. 2130

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1032

ექიმი
თიკანაძე
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1003

ექიმი
ბ. მ. მუხაძე
[illegible]
1030

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ტელეფ. 17—49. 1153

ექიმი
ს. ზ. მირზოევი
უფროსი ორდინატორი ტფილისის [illegible] საავადმყოფოსი, იღებს 4—6 ს., გარდა კვირისა. მისამართი: სერგიევის ქ. № 1. მეორე სართული. 1009

ექიმი
ნ. ა. ფოფხაძე
მიიღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამ. გრაფის ქუჩა № 8. სახლი მონასელიძისა. 459

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციებ) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი [illegible] ქ. № 11. 426

ქ. ქაშქაშში.
ექიმი რევაზ ალექსანდრე ძე
მაჩაბელი
მიიღებს ყოველ დღე შინაგან, ქალების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიღება 11—1 ს. კაცებისა 5—7 ს. საღამოისა.
სლეპცოვის და მუხრანულ ქუჩების ქიმი, სახლი პაპუნოვისა. 142

მარტის 20 გაიხსნა
ახალი სამკურნალო
ყოველგვარ ავადმყოფთათვის
ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეთიანცის
საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.
მიხეილის პროსპექტის და კიროჩნის ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი კიროჩნის ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.
ვენერიულ და სიფილისის ავადმყოფების მიღება—საღამოს 5—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს. ღარიბები უფასოდ მიიღებიან კვირაობით 10—12 ს. 327

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 ებონი. 1002

ექიმი
კ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეზხაპუნება). საღამოობით $5^1/_2$—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ექიმი
შ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. კლინიკებისა, გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. იღებს ავადმყ. დილის 10—12 ს. საღამ. 5—7 საათამდე, ყოველ დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „მონდის" პირდაპირ. 1029

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:
„606" და „914" 11—12 ს.
ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ. ავადმყ.)
გ. ი. მაზნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
ბ. გ. აგაბაროვი: $9^1/_2$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11^1/_2$ ს.
მ. ვ ბარხუდაროვი: 1—2 ს. ქალებისა და საბებიო ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1010

საჯარო ვაჭრობა.
ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ შაბათს, 14 მაისს, დღის 12 საათზე, გამგეობის თანადასწრებით გაიმართება
საჯარო ვაჭრობა.
იჯარით არის მისაცემი ქალაქის დუქანი („ბუდკა") ერევნის მოედანზე. პირობების გაგება შეიძლება ქალ. გამგეობის საიჯარო-საადგილმამულო განყოფილებაში. 1163

„სახალხო საქმე"-ს
რედაქციის კანტორაში
იყიდება შემდეგი წიგნები:

ჯავახიშვილი ივ.—„ქართველ ერის ისტორია" მხოლოდ მეორე ტომ.	3	მ.
ღლონტი თ. „ავტონომია და ფედერაცია" წ. I	4	„
გრდემლი წ. I	3	„
ქართველი მწერლები.	2	„
უცხოეთის „	2	„
შიუკაშვილი—„მეგობრობა".	—	60 კ.
ჯანაშვილი—„თამარ მეფე".	1 „	20 „
ფირცხალავა ს. „სამაჰმადიანო საქართველო"	—	40 „
ღლონტი თ. რუსული წიგნაკი—„ფედერალიზმი"	—	50 „

წიგნის დაკვეთა შეიძლება ფოსტით, რაიცა შესრულდება დაუყოვნებლივ. წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20 პროცენტი. გამოწერა შემდეგი მისამართით—ტფილისი, რედაქცია „სახალხო საქმე".

სტამბა
„სახალხო საქმე"
იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს: ყოველნაირ გამოცემათა, აფიშების, სადარბაზო ბარათების, კანტორის წიგნების და სხვათა დაბეჭდვას;
საქმე სრულდება სუფთად და თავის დროზე.
კანტორა მოთავსებულია ქუჩის პირად. ბარონის ქუჩა № 14.